ეროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ
ეროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის ორშაბათობით და ხუთშაბათობით

№60 (1498) 18–21 ნოემბერი, 1996 წელი

## შეგინებულ სარეცელთა ბოღმა



აფხაზეთიდან ლტოლვილმა, ომის დროს მეომარმა ბატონმა სერგი საჯაიამ დიდი წიგნი მოიტანა რედაქციაში, რომელშიც აფხაზეთში დატრიალებული უბედურების ქრონიკებზეა საუბარი.

გაზეთისთვის მხოლოდ მცირე ამონარიდებს ვბეჭდავთ. ავტორს ტრაგედიათა ჩვენების შემდეგ საქართველოს ხელისუფლების რეაქცია ამ ტრაგედიებზე ასე აქვს შეფასებული:

**,,ჩვენი დოყლაპია რუსეთუმეების სჯა იმ ძმების თათბირს მაგონებს, დედა რომ გაუუპატიურეს: უფროსმა ძმამ თქვა - ამისთვის ის ნაძირალა გასასახლებელია, მაგრამ იტყვიან, დედა რომ გაუუპატიურეს, იმიტომ გაასახლესო და თავი მოგვეჭრებაო.**

**შუათანამ, სწორი ხარო, გასასახლებელი კი არა, ჩამოსაკიდია, მაგრამ ხალხი არ გაიგებსო სწორად.**

**უმცროსმა ძმამ განაჩენი ,,გაამკაცრა": ასეთი რაშისთვის მოსაკლავია, მაგრამ იტყვიან, დედა რომ გაუუპატიურეს, იმიტომ მოკლესო. ჯობია, გავჩუმდეთ და ვიაროთ ასე დედა მოტ....ბმათ.**

## საუბედუროდ, ასეა საქმე!

მესამე გვერდი

## ვეშაპის სინდრომი

მთავრობამ არ იცის, როდის მოატრიალებს მის წინააღმდეგ მისივე ჯარი იარაღს...

მეექვსე გვერდი

## პრეზიდენტმა აცახცახებული ხელით ბრძანებას წერტილი დაუსვა და...

5

### ჩვენი მკითხველი ბატონ ჯუმბერ პატიაშვილის პასუხების მოლოდინში

ძვირფასო მკითხველებო, სატელეფონო ზარებისა და წერილობით შემოსული ბარათების ურიცხვი რაოდენობა ადასტურებს იმ ცხოველ ინტერესს, რაც საზოგადოებაში გაჩნდა ბატონ ჯუმბერ პატიაშვილისადმი ჩვენივე გაზეთში გამოქვეყნებული კითხვების გამო.

ყველა მოუთმენლად ელის ბატონ ჯუმბერის პუბლიკაციებს. სიამოვნებით გაუწყებთ, რომ ეს პუბლიკაციები გამოქვეყნდება.

დიდ მადლობას ვწირავთ ბატონ ჯუმბერს, რომელიც ცალკეული კითხვის სიმწვავის მიუხედავად, ჩვენს კორესპონდენტს ერთობ დიდსულოვნად ესაუბრა და თანხმობა განაცხადა ვრცლად გამოხმაურებოდა შეკითხვებს. ვინაიდან თემები ძალზედ სერიოზულია, რესპონდენტმა ითხოვა დრო საფუძვლიანი პასუხებისათვის და შეგვპირდა, რომ თვის ბოლოსთვის გადმოგვცემს სრულ ტექსტს (შესაძლოა უფრო ადრეც).

კიდევ ერთხელ ვუხდით მას მადლობას იმადაც, რომ გვესმის, მისი ეს ნაბიჯი კაცურ გაბედულებასთანაც არის დაკავშირებული... რაშიც ეჭვი არც გვეპარებოდა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ: ერთ-ერთმა დიდმა ფუნქციონერმა თავი აარიდა ჩვენს რუბრიკაში „ვინ იყო ვინ?“ „მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის“ მონაწილეობის მიღებას, ანუ თავი აარიდა პასუხისმგებლობას საკუთარი ერის წინაშე.

ჯერჯერობით იმედს ვიტოვებთ, რომ იგი მისთვის გაგზავნილ, ჯერაც გამოუქვეყნებელ კითხვებზე პასუხს გასცემს, ამიტომ გვარს არ ვასახელებთ. უარის შემთხვევაში გაიხსნება მეორე რუბრიკა – „პასუხგაუცემელი კითხვები“ ანუ „როცა სილაჩრე ცხადდება გონიერებად“ და ამ კითხვებს მწარე პასუხებიც მოჰყვება გაგრძელებებით, ოღონდ ოპონენტებისა...

მაშ ასე, რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენი სტუმარი იქნება ქართულ პოლიტიკურ ასპარეზზე ერთობ გამორჩეული პიროვნება, ბატონი ჯუმბერ პატიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ყველა ლტოლვილის მონაწილეობისათვის

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის ინფორმაციით, 18 ნოემბრიდან საქართველოს ყველა რეგიონში გახსნილი იქნება თითო უბანი იმ პირთათვის, რომლებიც 23 ნოემბრის პლებისციტში ვერ მიიღებენ მონაწილეობას, ხოლო 23 ნოემბერს საარჩევნო უბნები გახსნილი იქნება დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე. სხვადასხვა რესპუბლიკებში მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილთათვის ზრუნავს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომელმაც სპეციალური ჯგუფი გამოყო პლებისციტში ყველა ლტოლვილის მონაწილეობისათვის.

თამაზ ნადარეიშვილის განცხადებით, ბოლო დღეებში აფხაზეთიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, დეპუტატობის კანდიდატებად აფხაზეთში 87 კაცია რეგისტრირებული. აღნიშნულ პირებს ჩადენილი აქვთ სისხლის სამართლის დანაშაული და საქართველოს პროკურატურას მათ მიმართ აღძრული აქვს სისხლის სამართლის საქმე.

იბერია

● პრესკონფერენცია

# თამაზ ნადარეიშვილი: ლეონის ორდენი 100 ქართველის მკვლელობისათვის

**23 ნოემბერს აფხაზეთში თვითმარქვია ხელისუფლების მიერ დანიშნული უკანონო არჩევნების პარალელურად პლებისციტის ჩატარების პოლიტიკურ, სამართლებრივ და ზნეობრივ ასპექტებზე ისაუბრეს ჟურნალისტთა სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე თ.ნადარეიშვილმა, ზ.ერქვანიამ, მ.ლორთქიფანიძემ, ნ.გრიგალაშვილმა, გ.მელიქიძემ, დ.ჯაიანმა, ა.ლაცუზბაიამ.**

გთავაზობთ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის გამოსვლის ტექსტს.

აფხაზეთში დანიშნული არჩევნები მიმართულია იქითკენ, რომ დაკანონდეს ის გენოციდი და ეთნიკური წმენდა, რომელიც ჩატარდა აფხაზეთში 1992-93 წლებში და პრინციპში, დღესაც გრძელდება. სეპარატისტული რეჟიმი ცდილობს მსოფლიოს დაანახოს, რომ აფხაზეთში არავითარ ეთნიკურ წმენდას და გენოციდს ადგილი არ ჰქონია. ომის დაწყებამდე, 1991 წლამდე აფხაზეთში ცხოვრობდა 500000 ადამიანი. დღეს ცენტრალურმა კომისიამ დააფიქსირა, რომ აფხაზეთში ცხოვრობს 390000 ადამიანი. აქედან 220 ათას აქვს ამომრჩევლის უფლება. საბოლოოდ არის გათვალისწინებული, მოწვეულ იქნას 23-ში აფხაზეთის სახალხო -კრება, რომელიც შედგება 35 დეპუტატისაგან და 24 რიცხვში ამ ციფრებს ისინი მოჰფენენ მთელ მსოფლიოს.

კანონიერი იქნება თუ არა ეს არჩევნები? რა თქმა უნდა, ჩვენ ვთვლით მას არაკანონიერად. ისინი კი მაინც შეეცდებიან ყველა საერთაშორისო ორგანიზაციაში შეაღწიონ, ეს ციფრები შეიტანონ და მთელ მსოფლიოში გაავრცელონ, რომ აფხაზეთში დღეს ცხოვრობს 2/3-ზე მეტი ადამიანი და ამიტომ, უფლება გვქონდა ჩაგვეტარებინა არჩევნებიო, იტყვიან ისინი. როცა დაიბადა აზრი ღონისძიების ჩატარებისა, ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ უნდა ყოფილიყო დევნილებისა და ლტოლვილების გამოკითხვა.

ჩვენი მონაცემებით, აფხაზეთში დღეს ცხოვრობს მიახლოებით 120 - 130 ათასი ადამიანი. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ტყვარჩელში ამომრჩეველთა რაოდენობა ცენტრალური კომისიით არის დაფიქსირებული 8000 ადამიანი, სინამდვილეში ტყვარჩელში ცხოვრობს 1500 კაცი. იგივეა ოჩამჩირეში: 7000 ამომრჩეველია დაფიქსირებული, ჩვენი მონაცემებით კი ცხოვრობს 4000 ადამიანი. ამიტომ ეს ციფრები, რაც არის დაფიქსირებული ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ, არის ყალბი და ჩვენ 24-ში, როდესაც ჩავატარებთ პლებისციტს, დოკუმენტალურად შევძლებთ დავუპირისპიროთ ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები.

საქართველოში დღეს ცხოვრობს 270000 დევნილი, რომელნიც სხვადასხვა ეროვნების არიან, ხოლო 70000 დაფიქსირებულია საქართველოს ფარგლებს გარეთ. რუსეთში დევნილთა რაოდენობა შეადგენს 35-40 ათასს; უკრაინაში - 20000, სოჭისა და კრასნოდარის ოლქში მიახლოებით 7 ათასს. ეს არის საბოლოო ციფრები. პლებისციტი - სერიოზული ღონისძიებაა. ეს არ არის მარტო აფხაზეთიდან დევნილთათვის, არამედ არის სრულიად საქართველოსთვის და მე არ დავეთანხმები იმ გამონათქვამს, რომ ეს პლებისციტი არაფერს გვაძლევს, რომ ეს მორიგი ფარსია და ა.შ. მე ძალიან შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ პლებისციტი ჩვენ აფხაზეთში დაგვაბრუნებს, მაგრამ გვაძლევს საშუალებას კიდევ ერთხელ დოკუმენტალურად დავუმტკიცოთ საერთაშორისო ორგანიზაციას ის სიმართლე, რა სიმართლეც ჩვენ გვაქვს.

4-5 დეკემბერს ლისაბონში ტარდება ეუთოს მუდმივი საბჭოს სხდომა, რომელსაც დაესწრება 44 ქვეყნის პრეზიდენტი. დღესდღეობით მიღწეულია შეთანხმება, რომ დღის წესრიგში შეტანილი იქნება აფხაზეთის საკითხი. ჩვენი ვალი არის, უპირველეს ყოვლისა, ამ პლებისციტის მასალების შედეგად ამ სხდომაზე შევეცადოთ, რომ მსოფლიოს საერთაშორისო ორგანიზაციებს დავაფიქსირებინოთ ის, რაც ჩვენთან არ არის დაფიქსირებული - გენოციდი და ეთნიკური წმენდა. მიუხედავად იმისა, რომ გაერომ მიიღო 16 რეზოლუცია, პრაქტიკულად არსად არ არის დაფიქსირებული, რომ აფხაზეთში გენოციდი და ეთნიკური წმენდაა. ერთადერთია - ეუთო, რომელმაც გასული წლის დეკემბერში ჩაატარა სხდომა და დაფიქსირდა ეთნიკური წმენდა. ამიტომ ეს სია 340000 დევნილისა და პლებისციტის შედეგები გვაძლევს საშუალებას იმისთვის, რომ მოვთხოვოთ საერთაშორისო ორგანიზაციებს არა მარტო დააფიქსირონ ეთნიკური წმენდა და გენოციდი, არამედ უკვე რეალურად გადაიდგას ნაბიჯები, რომ ბოლოს და ბოლოს შეიქმნას საერთაშორისო ტრიბუნალი და სასამართლო, რადგანაც მსხვერპლი დიდია, ათასობით ადამიანია დახვრეტილი, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი დაიბადნენ ქართველებად.

მინისტრთა საბჭოს ინიციატივით ჩვენ დავიწყეთ შეხვედრა საქართველოში აკრედიტებულ ყველა ელჩთან და საერთაშორისო მისიის ხელმძღვანელობასთან. დღესდღეობით ჩვენ ჩავატარეთ 9 შეხვედრა. ძალიან დიდი დაინტერესება არის ჩვენი მეგობრების მხრიდან. ჩვენ შევთანხმდით იმაზე, რომ ყველა საელჩოს გადაეგზავნება პლებისციტის მასალები.

ამავე დროს, ვითარება ყოველმხრივ იძაბება, რადგანაც ახლოვდება არჩევნები. ცოტა პანიკური სიტუაცია არის შექმნილი შიგნით აფხაზეთში. ვიცით, რომ გალში ვერ მოხერხდა ვერცერთი საარჩევნო უბნის შექმნა, მიუხედავად იმისა, რომ იყო გათვალისწინებული 5 საარჩევნო ოლქი, შემდეგ შეთანხმდნენ სამზე, მაგრამ ამის გაკეთებაც ვერ შეძლეს. 13 ქართველი დეპუტატობის კანდიდატიდან 11-მა მოხსნა თავისი კანდიდატურა. საბოლოოდ დარჩა 2 და ვიმედოვნებ, რომ ეს 2-იც



მოხსნის თავის კანდიდატურას. ამას გარდა, ჩვენ გვაწუხებს მეორე ამბავი - გუშინ მივიღეთ შეტყობინება, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალები პრაქტიკულად აკეთებენ ყველაფერს, რომ ეს არჩევნები ჩატარდეს. ყოველ შემთხვევისათვის, თუ ბრძანება არ არის ქაღალდზე, სიტყვიერი მითითება არის, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალებმა შეუწყონ ხელი აფხაზეთში არჩევნების ჩატარებას.

ჩვენ მივმართეთ ყველა ორგანიზაციას და დღეს უკვე გვაქვს მიღებული განცხადებები, რომლებიც გააკეთა გაერომ, ეუთომ, სხვადასხვა ქვეყნების ხელმძღვანელობამ, განსაკუთრებით იმათ, ვინც იყო ჩამოსული ბოლო პერიოდში საქართველოში - ირანმა, უკრაინამ, მაგრამ სამწუხაროდ, რუსეთმა ასეთი განცხადება არ გააკეთა. ჩვენ მივწერეთ წერილი როგორც რუსეთის ხელისუფლებას, ასევე ელჩს აქ, საქართველოში ვთხოვეთ თავისი ნების გამოხატვა. დადებითი იქნება თუ არა, ეს სხვა საკითხია. მთავარია ისეთმა დიდმა მეზობელმა სახელმწიფომ, როგორიცაა რუსეთი, რომელიც შუამავალია ამ კონფლიქტში, თავისი პოზიცია გამოხატოს იმ არჩევნებთან დაკავშირებით, რომელიც ტარდება აფხაზეთში. სამწუხაროდ, დღეს ეს არ არის. სამშვიდობო ძალების მიერ თვითნებურად არის მიღებული გადაწყვეტილება, რომ მდინარე ენგურთან შეიქმნას 17 საგუშაგო და ეს პრაქტიკულად გადაკეტავს გზას იმ პიროვნებებისათვის, რომლებსაც სურთ გალიდან გადმოვიდნენ ზუგდიდში და მისცენ ხმა ამ პლებისციტში. მათი რაოდენობა ჩვენი მონაცემებით აღემატება 10000. ამიტომ იმ წინაღმდეგობით, რომელიც ექნება ადამიანს თავისუფლად მისცეს ხმა, ალბათ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაინტერესდნენ ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციები, რომლებიც დღეს არიან საქართველოში განთავსებულნი. ამიტომ ყოველი დღე, რომელიც გვაახლოვებს აფხაზეთის ე.წ. საპარლამენტო არჩევნებთან, დაძაბული იქნება, ვინაიდან ჩვენ ველით გარკვეულ ექსცესებს, შესაძლებელია სხვადასხვა სახის პროვოკაციებიც და ვცდილობთ სიტუაციის დარეგულირებას.

ჩვენი მონაცემებით, პლებისციტში დევნილთა და ლტოლვილთა რიცხვი, რომლებიც მიიღებენ მონაწილეობას, შეადგენს 200-210 ათასს ადამიანს. ეს არის სრული ციფრი, რომელსაც მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ. მარტო საქართველოშია 222 ოჯახი აფხაზის, რომელიც პლებისციტში მიიღებს მონაწილეობას. იგივე მდგომარეობაა მოსკოვში. ათასობით აფხაზს სურს გამოხატოს თავისი უარყოფითი პოზიცია 23 ნოემბრის არჩევნების მიმართ, მაგრამ დაშინებულნი არიან, რადგანაც ბიულეტენს რომ მიიღებენ, რასაკვირველია, მათი გვარი ჩაიწერება და პასპორტიც წარედგინება. და ამიტომ ვფიქრობთ გამოსავალზე, რომ ამ ხალხს არ დავუკარგოთ ხმის მიცემის უფლება.

აფხაზეთის საინფორმაციო საშუალებები ჩვენს მიმართ აგრესიულად მუშაობენ. ჩვენ ყოველდღე ვღებულობთ მონაცემებს აფხაზეთის რადიოსა და ტელევიზიიდან, რომელიც გუდაუთიდან და სოხუმიდან მოდის. სიტუაცია შიგნით იძაბება იმით, რომ თუკი გალის რ-ნი არ მიიღებს მონაწილეობას აფხაზეთის არჩევნებში, ეს პრაქტიკულად არაფრისმთქმელი არ არის, იმიტომ რომ გალის რ-ნი მოსახლეობით ყველაზე დიდი რაიონია.

დაბოლოს, რაც შეეხება იმ კანდიდატებს, რომლებიც არიან წამოყენებულნი აფხაზეთის მომავალ ე.წ. საპარლამენტო არჩევნებში. 87 რეგისტრირებული დეპუტატისაგან ყველა სისხლის სამართლის დამნაშავეა, რომლებზედაც უნდა იქნეს აღძრული სისხლის სამართლის საქმე და ბევრზეც არის აღძრული. ვერ ვხედავ ამ სიაში ინტელიგენციის და მეცნიერების არცერთ წარმომადგენელს. არის სუფთა კრიმინალური კანდიდატურების სია, რომლებზეც საქართველოს პროკურატურას სისხლის სამართლის საქმე აქვს აღძრული.

87 რეგისტრირებული დეპუტატიდან ბევრი სამარცხვინო ორდენის - ლეონის ორდენის მფლობელია. ცნობისათვის, ეს ორდენი მიენიჭება იმ სეპარატისტს, რომელსაც 100-ზე მეტი ქართველი ჰყავს მოკლული.

მოამზადა
ია ბუკოვსკაიამ

# გამდიდრებული „ივერთბანკი" – გაძარცვული მეანაბრეები

## ღია წერილი ფინანსთა სამინისტროს

**იქნებ ბახსოვთ**, რომ „ივერთბანკის" გახსნას წინ უსწრებდა საქართველოს ტელევიზიის მიერ ფართოდ რეკლამირებული გადაცემები პატრიოტული ხასიათის ლოზუნგებით და მოწოდებებით მოქალაქეებისადმი, რათა მათ გამოეჩინათ ეროვნული შეგნება და ხელი შეეწყოთ ქართული კომერციული არასამთავრობო ბანკის შექმნისათვის. სამაგიეროდ ბანკის მესვეურები მეანაბრეებს ლამის ოქროს კოშკებს პირდებოდნენ, ყველაზე მაღალ პროცენტს და ქვეყნის აყვავებას, გამდიდრებას. მეც გავბრიყვდი და 1990 წელს „ივერთბანკში" შევიტანე ხანგრძლივი შრომით დაგროვილი 10 ათასი მანეთი, ე.ი. იმ დროს, როცა ინფლაცია ჯერ არ იყო დაწყებული და „შავ ბაზარზე", როგორც ამ საქმის მცოდნენი ამბობენ, 1 დოლარი 15-20 მანეთი ღირდა, ამ თანხით კი „ვაზ-06"-ის ყიდვა შეიძლებოდა. ამრიგად, ეს საკმაოდ სოლიდური თანხა ჩემს ოჯახს და ხუთ შვილს მოვაკელი და ხსენებულ ბანკში შევიტანე იმ იმედით, რომ ბანკიც ჩამოყალიბდებოდა, ქვეყანაც წაადგებოდა და მეც ვისარგებლებდი. ქვეყნისა და მეანაბრისა რა მოგახსენოთ, ბანკი კი ნამდვილად გამდიდრდა მეანაბრეების წყალობით, ამ უკანასკნელების არათუ გამდიდრებაზე და დაპირებული მაღალი პროცენტების მიცემაზე, არამედ შეტანილი თანხის უკან დაბრუნებაზეც უარს ამბობს. ამას მოწმობს შემდეგი.

აღნიშნული ბანკის მესვეურების სიხარბის გამო ჩემი ათი ათასი მანეთი „უნაყოფო გამოდგა" და ექვსი წლის განმავლობაში ძირითადმა თანხამ თავის პროცენტებით არათუ იმარტყა, არამედ 5 ლარიც არ შეადგინა. უხეშად რომ ვიანგარიშოთ, ხსენებული თანხის ბანკში შეტანისას შემეძლო 10 ათასი კილოგრამი შაქრის ფხვნილის ყიდვა, ახლა კი „ივერთბანკი" 5 კილოგრამი შაქრის თანხას მთავაზობს - ძირითად თანხაზე და პლუს ექვსი წლის პროცენტებში. ჩემთვის კი არა, ყველასათვის გაუგებარი და შემაზრზენია ასეთი სახით მეანაბრეების გაძარცვა. ბანკი რომ გაკოტრებულიყო, მაშინაც კი ასეთი დაანგარიშება გამიკვირდებოდა. ბანკი კი ნამდვილად გამდიდრებულია საცოდავი მეანაბრეების გაძარცვის წყალობით. ამას მოწმობს შემდეგი: ბანკი ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ დამკვიდრდა ქალაქის ცენტრში - რუსთაველის პროსპექტზე, ყოფილი კადეტთა კორპუსის შენობაში. ბანკის შესასვლელი ძალზედ ძვირადღირებული კარებით არის შემკული. შესასვლელში ხუთი კბილებამდე შეიარაღებული დევი დგას. ახლა შიგნით არ გკითხავთ? კაცს თვალები აუჭრელდება, ისეთი უძვირფასესი, ძვირადღირებული რემონტი არის გაკეთებული და ავეჯით გაწყობილი, რაც, ალბათ, რამოდენიმე ათასი კი არა, მილიონი ლარი დაჯდებოდა. ბანკის მმართველობის კაბინეტი უნდა ნახოთ, რა ძვირადღირებული რემონტით არის გაკეთებული და ასეთივე ავეჯით გაწყობილი. ბანკის მმართველმა მეანაბრეების ძირითადი თანხის და პროცენტების ხსენებული უცნაური ანგარიში არხეინად მთავრობის მიერ განხორციელებულ „ინდექსაციას" გადააბრალა. ჩემს კითხვაზე - თქვენ რომ ბანკს ხსნიდით, მთავრობამ ის გითხრათ, რომ თქვენ გამდიდრდით, მეანაბრეები კი გაალატაკეთ? ეს ძვირადღირებული რემონტი და ავეჯი მთავრობამ გიწყალობათ, თუ სახლიდან მოიტანეთ? რას იზამთ, ასეთ ქვეყანაში ვცხოვრობთო, იყო უდარდელი და ცინიკური პასუხი. არავითარი დაპირება ან რაიმე იმედი ბანკის მმართველს არ მოუცია. ასე დამცირებული და გაძარცული გამოვედი აღნიშნული ბანკიდან. ფინანსთა სამინისტროს მივმართავ კითხვით: ნუთუ ინფლაციის დაწყებამდე და ინფლაციის შემდეგ შეტანილი ანაბარი ერთნაირად უნდა იანგარიშებოდეს? ეს ხომ ფაქტიურად კონფისკაციას ნიშნავს?! ვის მინდეს ასეთი სახით ანგარიში? არა და, ნუთუ სახელმწიფოს აწყობს მეანაბრეებისაგან მიღებული ფულით კომერციული ბანკის გამდიდრება და მეანაბრეებისათვის საკუთარი თანხის მიცემაზე უარის თქმა? ვის იცავს სახელმწიფო? ვის ინტერესებს იცავს? გამყლეფების? ახლა აქ ფინანსთა სამინისტროში იმას მოიმველიებენ „პასუხად", რომ კომერციულმა ბანკებმა ლარი ისე რომ გასცენ, როგორც ეკუთვნით მეანაბრეებს, ეს ფულის ინფლაციას გამოიწვევსო. მაშინ არ გვინდა ბატონო თქვენი ლარი, აგვინაზღაურონ დოლარებში ისეთი შეფარდებით, როგორიც 1990 წელს იყო დოლარი და მანეთი, ოცი-ერთზე, უკიდურეს შემთხვევაში - ოცდაათი ერთზე. დოლარის ინფლაცია ხომ არ მოხდება? ჩვენს ხარჯზე გამდიდრებულ ბანკს ხომ აქვს ამის შესაძლებლობა. მაშ რა ვქნათ, ხელი ავიღოთ ჩვენს მიბარებულ ანაბარზე? ფინანსთა სამინისტროს გასაგონად მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ იქნებ ზემოქმედება მოახდინოს „ივერთბანკის" მესვეურებზე. ანაბარი მგელმაც იცისო. თოფიანი მონადირეები ჩვენში თითქმის მოსპეს, მაგრამ უთოფოები დარჩა? ჩვენ ვინ გვიშველის ან ვინ დაგვიცავს ამდენი უსამართლობისაგან? ნუთუ ერთი ნაწილი მოქალაქეებისა, რაღაც გამონაგონების მოშველიებით და აქედან გამომდინარე, დაუსჯელობის იმედით უნდა ძარცვავდეს მოქალაქეების მეორე ნაწილს, რომლის დანაშაული ის არის, რომ ენდო მეანაბრეების ფულით გამდიდრებულ ბანკირებს. ერთი უნდა გენახათ, თუ როგორ რიხიანად მელაპარაკებოდა ბანკის მმართველი ექსტრაკლასად მოწყობილ უზარმაზარ კაბინეტში. არავითარი თანაგრძნობა, არავითარი სინანულის გრძნობა მის წინასწარ დაზეპირებულ პასუხებში არ იგრძნობოდა, ყველაფერს მთავრობის მიერ განხორციელებულ „ინდექსაციას" აღებდა ბრალს. „ივერთბანკმა" მეანაბრეების მიერ მინდობილი მილიონები რომ მიითვისა, გამკითხავი არავინ არ უნდა იყოს? რა ვქნა, როგორ მოვიქცე? ძველებური სიმღერის არ იყოს, „რომელ მგოსანს ვთხოვო სამართალია, ვის შევჩივლო რუსთაველი მკვდარია".

მინაწერი: როცა ამ წერილის შინაარსი ჩემს კოლეგებს გავაცანი, მირჩიეს, არ გამომექვეყნებინა იგი. ბანკის მესვეურებმა თუ ის იკადრეს, რომ ხალხის ფული ასე უსინდისოდ მიითვისეს, არაფრის წინაშე არ დაიხევენ უკან, უკეთეს შემთხვევაში კი, არც ბანკის მესვეურები, არც ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელები ყურადღებას არ მიაქცევენ შენ წერილსო. მე, რა თქმა უნდა, ამ იგავარაკებისა არ მჯერა, მაგრამ ამ საუბრიდან, სამწუხაროდ, ერთში კი დავრწმუნდი - შიშის სინდრომი და პასუხისმგებლობის გრძნობა ქვემო ეშელონებში უფრო არის, ვიდრე ზემო ეშელონებში. სადაც უშიშრად ამდენ ფულზე ხალხს ხელი აღებინეს - რაიმე ბოროტებაზე ხელს აიღებენ ბანკის მესვეურები და მათი „უცნობი" მფარველები? ნუთუ ნდობის და რწმენის ფაქტორზე და საბანკო სისტემის განვითარებაზე და მომავალზე არ ფიქრობენ, თუ მარტო მოსწრებაზე არიან? მეანაბრის ფულის მითვისება გაუკოტრებელი ბანკის თუ შემნახველი სალაროს მიერ და ანაბრის უკან დაბრუნებაზე უარის თქმა არაარგუმენტირებული და უსაფუძვლო გამონაგონით - ეს უდანაშაულობაა? თუ მარტო ძალადობა, ქურდობა და ყაჩაღობა ან სხვა არასამართლებრივი ქმედებანი ითვლება დანაშაულად? განსხვავებას ვერ ვხედავ! ბანკის მესვეურები გამდიდრდნენ და ხარობენ ჩვენი ანაბრებით - ეს არის სამართალი სამართლებრივი სახელმწიფოსი? ასე განვითარდება ეკონომიკა და საბანკო საქმე? ყველაფერი უცხოელების ხელში უნდა აღმოჩნდეს? შვეიცარია მოწინავე სახელმწიფოთა რიგებში კარგად აწყობილი საბანკო სისტემის წყალობით არის. ჩვენი ბიზნესმენებიც უცხოეთის ბანკებთან ურთიერთობას ამჯობინებენ. დაფიქრდით!

პროფესორი
ნიკოლოზ ნანიტაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეგინებულ სარეცელთა გოდება

* * *

გალის რაიონის სოფელ გუდავაში, ზღვისპირთან, ბ.ა...ს ოჯახში დღისით, მზისით, რუსეთის „სამშვიდობო" მისიის თვალწინ აგვისტოს პირველ დღეებში შემოჭრილან იარაღიანი პირები.

ზუგდიდიდან შიმშილს გამოქცეული და აქ საკუთარ ეზოში ბოსტნის დასამუშავებლად შემოპარული ღრმად მოხუცებული დედაბერი დახვედრიათ ერთ-ერთ სახლში. გაუშიშვლებიათ, ათამაშეს და მერე გაუუპატიურებიათ, ესეც არ აკმარეს, სახორხოცოდ გაიხადეს მისი სიშიშვლე.

უკანასკნელ ძალამოკრებილმა ბერიქალმა მოახერხა ხალათის მოპარვა, – მოიცვა (ქუჩაში შიშველი ხომ არ გამოვიდოდა) და ზღვისაკენ გაიქცა შეგინებული სიცოცხლისთვის წერტილის დასასმელად.

ბოევიკებმა „მოუწონეს" გადაწყვეტილება და ტყვია შეაწიეს. ქვიშაზე გულაღმა დაცემულს ქარმა გადახადა ხალათის კალთა, ასეთი სიშიშვლე გასართობად გაიხადეს. როცა შვილმა მოუსწრო დედის საცოდაობას – გაპატიოსნება მოუნდომა მშობელს, – ზედ დააკლეს.

* * *

„სამშვიდობო ჯარისკაცებმა" გუდავაში დათიკო რუხაიას მოაკრეფინეს ლიმონი და მერე დახვრიტეს.

ანაკლიაში სიმინდის ყანიდან მოდიოდნენ ლტოლვილი მურთაზ წურწუმია და მისი ცოლი. „სამშვიდობო" პატრულმა საბუთი მოსთხოვა, ცოლს არ ჰქონდა თან. მაშინ პატრულმა ხელი ჰკრა ქალს.

მურთაზმა გაარტყა, შეიარაღებულმა „მშვიდობისმოყვარემ" ადგილზევე დახვრიტა ცოლ-ქმარი.

* * *

კ.სხულუხია იგონებს: კოდორის ხეობით გადმოვედით, გზაში ძარცვა იყო, 1993 წლის 30 სექტემბერს უღელტეხილზე ისეთი ყინვა და ქარბუქი დაგვხვდა, თოვლში აიზილა ყველაფერი. მე ფეხშიშველი ვიყავი, არაფერს ვგრძნობდი, მომეყინა. დედაჩემმა მეტს ვერ ვიყლიო და წაიქცა. ზურგზე მოვიკიდე, ასე ვატარე ორი კილომეტრი. ბარგი გადავყარე. უკვე მეც ვერ მივდიოდი, თითქოს მიხვდაო დედაჩემი ჩემს უძლურებას, აქ განუტევა სული.

ამოვჩიჩქნე მიწა და მივაბარე.

* * *

1993 წ. 30 სექტემბერი: აკაფელი გურამ ფიფია დედამისთან და შვილთან ერთად კოდორ – ჭუბერის გზაზე მიდიოდა, უღელტეხილზე დედამისი დაფია ავად გახდა, დატოვა ხის ქვეშ, – აქ, ქვევით, ბავშვს დავაბინავებო და ახლავე მოვბრუნდებიო. ოთხ საათში დაბრუნებულს დედა გარდაცვლილი დახვდა. გურამი ჯავრისგან იქვე გარდაიცვალა.

* * *

ვარდიჩკა ჩხეტიანი, სოფ. მერხეულიდან (ცხუმ-აფხაზეთი): ამას წინათ მცხეთის გარეუბანში. სამმა შეიარაღებულმა ვაჟმა დაიმარტოხელა ერთი ლტოლვილი ბიჭი, ასე 16 წლის. ეტყობა ისინი წამალგაკეთებულნი იყვნენ, იქვე, დღისით, მზისით, დაუწყეს გაუპატიურება საწყალ ბიჭს, საცოდავი ყვიროდა და შველას ითხოვდა, შეშინებული ხალხი გულგრილად მიდიმოდიოდა. არავინ მიშველებია.

ბოლოს ვძლიე თავს და მე ქალი კივილით მივეჭერი, ორიოდე კაციც მომეშველა და წამოვაყენეთ გაუბედურებული ბავშვი. პირიდან სისხლი სდიოდა... ტუჩები ჩაეხიათ...

* * *

ლარისა მაღულარია-აბაშიძე: ჩემი შვილი გიორგი შარშან, 23 ივნისს, მოხალისედ წავიდა ომში. 19 წლის იყო. ავტომატი პირველად აფხაზეთში დააკავეს, ლაბრასთან დაიღუპა თუ დაიკარგა ჩასვლის მეორე დღეს. არაერთგზის მივმართე სადაც ჯერ არს მისი ამბის გასაგებად, მაგრამ მითხრეს, სამი ათასი დოლარი სჭირდებაო მის დაძებნას.

რაღაც ძვირფასეულობა მქონდა, უნდა გამეყიდა, ვილაც-ვილაცეებს გავანდე. ერთ საღამოს შეიარაღებულმა ხალხმა სამხედრო ფორმაში, მუქარისა და ძალის გამოყენებით, სახლიდან ყველაფერი წაიღო.

დავიწყე სიმართლის ძებნა, მაგრამ დამაპატიმრეს, მე მეორე ჯგუფის ინვალიდი, პენსიონერი ქალი ოცი დღე ციხეში ვყავდი.

ამ ხნის ქალს უპატიობა მომინდომეს, როცა გამომიშვეს, გამაფრთხილეს, თუ ჩივილს არ მივატოვებდი, უარესს მიზამდნენ.

ახლა ეკლესიაში მივდივარ, იქნებ ვინმემ ორიოდე კაპიკით განმიკითხოს, რა ვქნა, სამი ობოლი შვილიშვილი და ჩაწოლილი ქმარი ჩემს კისერზეა.

* * *

1994 წ. ოქტომბერი. ქ.თბილისი, ქეთინო მარღანიას (ქ.სოხუმი) ნაამბობი: ჩემი მეგობრის თამრიკო საკანდელიას ქმარი შრომაში ბრძოლის დროს დაიჭრა. აგუძერაში ვერ უშველეს. თვალებში იყო დაჭრილი, თურმე თბილისში გადმოუყვანიათ, უპატრონოდ დაეგდოთ და სისხლის მოწამვლა დაეწყო.

ცოლმა, როგორც კი გაიგო ეს ამბავი, აეროპორტში გაიქცა, მაგრამ, ჯერ ერთი, აქ რომ ითხოვდნენ, არც ის თანხა ჰქონდა, და არც ძალა, გაქცეული გვარდიელების ხერგილში თვითმფრინავისკენ გზა გაეკვლია.

მაშინ ამ ლამაზ ქალს სხვა რამეზე ჩამოუგდეს სიტყვა, სასოწარკვეთილმა იკივლა, როგორ არ გრცხვენიათ, გარეწრებო, ხვალ ხომ შეიძლება ამ დღეში თქვენც აღმოჩნდეთო.

როგორც იქნა გადმოფრინდა, მაგრამ ქმარი გარდაცვლილი დახვდა. „დამპალოს" სასაფლაოზე მიაბარა თანამეცხედრე და ორი შვილის ამარა ძაძებში გახვეული დღიური ლუკმაპურისთვის შრომობს.

* * *

ლტოლვილი პედაგოგი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი შ... მრეცხავად მოეწყო ისანში, სადღაც კაფეში. ასეთი ლამაზი ქალი, მრეცხავიაო და გამგემ დაბალ ლობედ მიიჩნია.

შეურაცხყოფილმა ბინასთან თავი ჩამოიკიდა. ძლივს გადაარჩინეს.

* * *

რეგიონში დამკვიდრდა ტყვეებითა და მონებით ვაჭრობა. ენგურს გაღმა-გამოღმა უკანონო რეჟიმების მაფიათა გარიგებით საბედიანოში ჩატყუებული მოსახლეობის ნაწილს ატყვევებენ და მერე ჰყიდიან, ერთ სულს ხუთასი ათასიდან მილიონ რუბლამდე აფასებენ.

* * *

საზარელი ამბავი დატრიალდა ამა წლის სექტემბერში გულრიფშის რაიონის სოფ. ბაღმარანში, ქსენია ბერულავას – 80 წლის პენსიონერის, ყოფილი პედაგოგის ოჯახში: მისი და ნადუ ბერულავა, ძმა კაპიტონი, რძალი შუშუ – სანათესაოს თბილისიდან უნდა გამოესყიდა, თითო სული ნახევარ მილიონ რუბლად.

მონათმფლობელთა შიდაუთანხმოების გამო ისინი ღამის ორ საათზე გამოიყვანეს საკუთარ ბაღში და დახვრიტეს. შემდეგ შეყარეს სახლში და ამობუგეს.

წითელმა ჯვარმა თბილისელ ჭირისუფალს დაუდგინა და აცნობა: „იხ ნეტ ვჟივიხ, პოხორონენი ვ უსადბე".

15 ოქტომბერს სოხუმის რაიონის სოფელ ლინდავიდან გაქცევა მოახერხა ორჯერ მონად გაყიდულმა (შიგ მშობლიურ ცხუმ-აფხაზეთში) შარო ასლანიკაშვილმა. მას ამუშავებდნენ გუდაუთასა და სოხუმის რაიონში.

* * *

ნუგზარ გუჯეჯიანი, გულრიფშის რ-ნი, აჯარა, ადრე მძღოლი, ამჟამად მებრძოლი. მისი თქმით, ხეობაში ყველას სჯერა, რომ ეს იყო აფხაზეთის დასაკარგი ომი, – რუსული „სამშვიდობო" მისია აქ ამოვიდა იოსელიანისა და კავსაძის ხელმოწერილი რწმუნებით, რომელშიც აღნიშნულია, რომ არძინბას რეჟიმის იურისდიქცია ვრცელდება მთელს კოდორის ხეობაზე.

გენერალი იაკუშევი ეწევა პროპაგანდას, აღიარეთო „აფხაზეთის ხელისუფლების" კანონები და თითსაც ვერავინ დაგაკარებთო.

იქმნება ისეთი ვითარება, თუ რუსები წავიდნენ, ხეობის ხალხს, რომელიც განაიარაღეს, დიქტატურის დაქირავებული ბოევიკები ამოწყვეტენ, ამიტომ ხელეწყობა აზრს, ჰარიქა, ურუსეთოდ დავიღუპებითო, რუსი, რუსი დარჩესო აქ!

* * *

ზაურ ბენდელიანმა მიამბო: იაშთხველი ზინა კეკელია ბოევიკებმა გაურკვეველი მიმართულებით წაათრიეს, საწყალი ქალის კივილზე მოსაშველებლად გამოიქცა მისი ძმა – ნოე.

ის იყო მანქანა დაიძრა და ზინა გაიტაცეს, გავკიდა ძმა ამ დროს მისმა მეზობელმა არმენმა ტაქსისტმა არსენმა (გვარი არ მახსოვს) ზურგში ესროლა და ზედ ქუჩაზე გაიშხლართა უსულოდ, (გოგი ლექვთაძის ეზოში, წინა დღეებში მოკლული და აქ ჩაფლული ეზოს პატრონის გვერდით ჩაჩურთეს მიწაში).

* * *

არშავლ ბაგარიანი და ჯივან გევორქიანი, ერთი თავისუფლების სასოფლოს საბჭოს საპასპორტო მაგიდის უფროსი 30 წლის მანძილზე და მეორე საშუალო სკოლის დირექტორი (დააკვირდით როგორი ხალხი განაგებდა აფხაზეთში საპასპორტო რეჟიმს) ანხორციელებენ ე.წ. წმენდებს: აბეზღებდნენ მათ, ვინც ამ ომში კერას იცავდა, ან არ ემხრობოდა მომხდურებს.

მათი გეგმით, გუმისთის ხეობა, ეს უმნიშვნელოვანესი მიდამო სოხუმისა, იაშთხვიდან სოხუმჰესის ჩათვლით, უნდა გახდეს „მალაია არმენია".

სერგი საჯაია

გაგრძელება იქნება



**აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული განცხადება**

აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ საქართველოსათვის უკრაინის მთავრობის მიერ სამხედრო ხომალდების გადაცემა ხელს შეუწყობს აფხაზი ხალხის ახალი გენოციდის განხორციელებას საქართველოს ხელისუფლების მიერ. განცხადებაში ნათქვამია, რომ საქართველოს ხელისუფლება კვლავინდებურად ცდილობს აფხაზეთის პრობლემის ძალისმიერი გზით გადაწყვეტას, ხოლო უკრაინის ხელისუფლება, მიუხედავად ჰუმანისტური პრინციპებისადმი დეკლარირებული ერთგულებისა, ფაქტობრივად, ხელს უწყობს აფხაზეთის წინააღმდეგ ახალი აგრესიის განხორციელებას.

იბერია

**სოხუმში მოქმედმა აფხაზეთის მინისტრთა საბჭომ წერილით მიმართა გაეროს უშიშროების საბჭოს**

სოხუმში მოქმედმა აფხაზეთის მინისტრთა საბჭომ სპეციალური წერილით მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს, რომელშიც მორიგი პროტესტია გამოთქმული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის ბოლო განცხადების გამო. წერილში ნათქვამია, რომ ქართული მხარის მიერ მიწოდებული ცალმხრივი და არაობიექტური ინფორმაციის ზეგავლენით, გაერო, ფაქტობრივად, მხარს უჭერს საქართველოს მცდელობას; გამოიყენონ ლტოლვილები პოლიტიკური მიზნით, მაშინ, როდესაც თვით გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ცნობით, ამჟამად, საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ 50 ათასი ლტოლვილი ცხოვრობს.

იბერია

**ვლადისლავ არძინბას განცხადება**

აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტმა ვლადისლავ არძინბამ განაცხადა, რომ ქართველები, რომლებიც ამჟამად აფხაზეთში ცხოვრობენ, აფხაზეთის ხალხის ნაწილს წარმოადგენენ. ამდენად, ისინი, როგორც სრულუფლებიანი მოქალაქეები, მონაწილეობას მიიღებენ 23 ნოემბრისათვის აფხაზეთის ტერიტორიაზე დანიშნულ არჩევნებში. არძინბას თქმით, აფხაზეთის ხალხი ქართველი მოქალაქეების მიმართ სავსებით კეთილგანწყობილია, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო აფხაზების მიმართ ატარებდა გენოციდისა და ასიმილაციის პოლიტიკას.

იბერია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ალექსანდრ ლებედის თავგადასავალი

პრეზიდენტმა აცახცახებული ხელით ბრძანებას წერტილი დაუსვა და ალექსანდრ ლებედი იმ წუთიდან ოპოზიციის ბანაკში აღმოჩნდა. წინა დღით შინაგან საქმეთა მინისტრმა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებაში დასდო ბრალი გენერალს, რომელსაც პრეზიდენტობის რეალურ კანდიდატად მიიჩნევენ დღესაც. პრეზიდენტმა არ აიტაცა ეს ბრალდება და ამის თაობაზე სიტყვაც არ დაცდენია. იგი მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ ხაზი გაუსვა ყოფილი თანამშრახველის „მიუღებელ შეცდომებს" და მის უუნარობას „გუნდურად მოქმედებისა".

რათა ყოველივე უფრო გასაგები გახდეს, გავიხსენოთ 26 სექტემბერი. ამ დღეს, პრეს-კონფერენციაზე, ალექსანდრ ლებედმა განაცხადა, რომ კანონის თანახმად, ტოვებს დეპუტატის სავარძელს და მომავალ არჩევნებში დეპუტატის მანდატის მოსაპოვებლად მხარს დაუჭერს ალექსანდრ კორჟაკოვს, ბორის ელცინის პირადი დაცვის ხელმძღვანელი დიდი ხნის მანძილზე კრემლის „რუხ კარდინალად" მიაჩნდათ. ეს იყო კაცი, რომელიც მნიშვნელოვან სახელმწიფო საქმეებს წყვეტდა პრეზიდენტის ზურგს უკან და ხშირად მასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე. კონსერვატორთა ეს აღიარებული ლიდერი საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენიმე ხნით ადრე ჩამოაშორეს აქტიურ მოღვაწეობას. მის გადაყენებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა ანატოლი ჩუბაისმა, კრემლის ადმინისტრაციის ყოვლისშემძლე ხელმძვანელმა. ლებედ-კორჟაკოვის ალიანსმა მოწინააღმდეგე ბანაკის აღშფოთება გამოიწვია. საპასუხო დარტყმამაც არ დააყოვნა: რამდენიმე დღის შემდეგ ჩუბაისის კონტროლის ქვეშ მყოფი სახელმწიფო სატელევიზიო არხი გადასცემს „სპორტის ეროვნული ფონდის" ყოფილი პრეზიდენტის ბორის ფიოდოროვის ინტერვიუს. ეს



უკანასკნელი მშვიდად უხსნის კორესპონდენტს და მილიონობით მაყურებელს, თუ როგორ ჯიუტად სძალავდნენ მას კორჟაკოვი და მისი თანამზრახველები 40 მილიონ დოლარს. მაგრამ ამ აღსარებას ხელი არ შეუშლია ლებედისთვის გაყოლოდა კორჟაკოვს ტულაში, სადაც კორჟაკოვმა კენჭი უნდა იყაროს. „ღმერთისა და თქვენის შემწეობით, მე ღირსეული მემკვიდრე მეყოლება" – ხმამაღლა განაცხადა ლებედმა.

ორი დღის შემდეგ ლებედი ესწრება მედესანტეთა შეკრებას და მკაცრად ესხმის თავს მთავრობის გადაწყვეტილებას შეამციროს რუსეთის ჯარის ოფიცერთა კორპუსი. მედესანტეებმა სიხარულის ყიჟინითა და ტაშის გრიალით მიიღეს ლებედის განცხადება. ამის შემდეგ ლებედი გაზეთ „ტრუდს" ეწვია და აქაც, უკვე ინტელიგენციის წარმომადგენელთა წინაშე, სასტიკად გააკრიტიკა თავდაცვის მინისტრი იგორ როდიონოვი. (ამაზე იტყვიან „გველი გამიზრდია, გველიო" (გაზეთის რედაქცია).

მეორე დღეს უკვე ანატოლი კულიკოვი გადადის შეტევაზე. იგი იწვევს პრეს-კონფერენციას და აცხადებს, რომ ლებედს განზრახული აქვს შექმნას „რუსული რეგიონი" 50000 კაცის შემადგენლობით და „მოაწყოს სახელმწიფო გადატრიალება". „ლებედს 1500 ჩეჩენი მებრძოლისა და კრიმინალური სტრუქტურების მხარდაჭერის იმედი აქვს", - განაცხადა მინისტრმა. თეზისის გასაძლიერებლად კულიკოვმა თვით ლებედის სიტყვები მოიხმო. „ლებედმა განაცხადა, - თქვა კულიკოვმა, - რომ იგი ვერ დაელოდება 2000 წელს, რათა შეცვალოს ბორის ელცინი". ლეგიონის პროექტი მართლაც არსებობს. იგი ლებედის უწყებამ ჯერ კიდევ აგვისტოს თვეში დაურიგა დაინტერესებულ ძალოვან სამინისტროებს. აგვისტოში ხელმოწერილი დოკუმენტი ოქტომბერში გახდა ცნობილი საზოგადოებრიობისათვის.

იმავე დღეს ლებედი უარყოფს კულიკოვის ბრალდებებს და ემუქრება მინისტრს, რომ სასამართლოში უჩივლებს ღირსების შელახვისათვის. ლებედი დარწმუნებულია, რომ კულიკოვი[illegible] ბრძანებას ასრულებს.

17 ოქტომბერს ვიქტორ ჩერნომირდინი იწვევს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრებს. შეხვედრას ჩუბაისი და ლებედიც ესწრებიან. ჩერნომირდინი მკაცრი ტონით საუბრობს: „აშკარაა, რომ უშიშროების საბჭოს მდივანმა გამოამჟღავნა უპასუხისმგებლობა, არაკომპეტენტურობა და ბონაპარტიზმი, ყოველივე ამას ცუდი სუნი უდის".

რამდენიმე საათის შემდეგ, მაშინ, როცა ლებედი ჯერ კიდევ ინარჩუნებს თავის პოსტს, მოსკოვის ქუჩები აავსეს ფორმიანმა ადამიანებმა. გადაიკეტა ქალაქში შემოსასვლელი გზები, გაძლიერდა მილიციის პოსტები. საღამოს 6 საათზე ბორის ელცინი ხელს აწერს იმ ცნობილ ბრძანებას. რამდენიმე წუთში ლებედის უწყებაში გაითიშა ყველა ტელეფონი, სამუშაო ოთახები გულდაგულ გამოკეტეს. გენერლის თანამშრომლები სასწრაფოდ ტოვებენ შენობას და თან რაღაც ქაღალდები გამოაქვთ. გენერალმა ლებედმა განაცხადა, რომ იგი აპირებს დაიძინოს, ხოლო დასვენების შემდეგ „ფეხზე დააყენებს" „პოლიტიკურ სტრუქტურებს", რათა „უკეთ მოემზადოს მომავალი არჩევნებისათვის". მან ისიც თქვა, რომ „არ დაუშვებს ჩეჩნეთის ომის გაღვივებას". რაც შეეხება რუსეთის პრეზიდენტს, ლებედმა განაცხადა, რომ „ეს არის მოხუცი და ავადმყოფი ადამიანი" და რომ იგი „არავის მიწაზე დანარცხებას" არ აპირებს. საღამოს, ლებედი, ახლა უკვე „ჩვეულებრივი მოქალაქე" თეატრს ეწვია და „ივანე მრისხანეს" ხილვით დატკბა.

ალა შეველკინა
(„ექსპრესი", ოქტომბერი, 1996)

თარგმნა
გიორგი ეკიზაშვილმა

# საშიში, საშიში, საშიში სიტყვა ოპოზიცია

## დასავლეთის ქვეყნები და პოლიტიკური ოპოზიცია

გაგრძელება (დასაწყისი იხ. გაზეთი „საქართველო" №55, 56, 57, 58, 59)

სოციალურ-პოლიტიკური სტაბილიზაციის პერიოდში, როდესაც აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის, მინისტრთა კაბინეტის, მმართველი პარტიების კოალიციის რეიტინგი საკმაოდ მაღალია, ოპოზიციის მანევრირების შესაძლებლობა ძალზე შეზღუდულია. იგი იძულებულია მიმართოს უფრო მეტ მანევრირებას, რათა გაიმარჯვოს პოპულარული ლოზუნგებით (ამასთან თავისებური ინტერპრეტაცია მისცეს მათ) და თავისი ბასრი კრიტიკა მიმართოს მთავრობის საქმიანობის ყველაზე უფრო არსებითი ასპექტებისკენ. ამასთან ყოველივე ეს ყოველთვის როდი იძლევა სასურველ შედეგებს.

ოპოზიციურ პარტიათა და მოძრაობათა სპექტრის გაფართოებამ ტრადიციული პარტიები იმის აუცილებლობის წინაშე დააყენა, რომ თავიანთ ტაქტიკურ სქემაში შეეტანათ არსებითი კორექტივი. ადრე მათთვის საკმარისი იყო უბრალოდ დალოდებოდნენ ძნელ დროს, „დიდხანს მჯდარიყვნენ" იმის იმედით, რომ ადრე თუ გვიან მმართველი პარტია დაუშვებდა უხეშ შეცდომას და პოლიტიკური ძალების ბალანსი აუცილებლად შეიცვლებოდა ოპოზიციის სასარგებლოდ. „დიდხანს ლოდინის" მსგავსი ტაქტიკა ბრიტანეთის ოპოზიციის მოქმედების თითქმის ძირითადი მიმართულება გახდა. წამყვანი ოპოზიციური პარტია იმ შემთხვევაშიც კი, როცა მას არ გააჩნდა კონსტრუქციული პროგრამა, ობიექტურად ხდებოდა მთავრობის პოლიტიკური კურსის ყველა მოწინააღმდეგეთა მიზიდულობის ცენტრად და ბუნებრივია, შეეძლო გამოეყენებინა მთავრობის არაპოპულარობა და მთელი სერიოზულობით ეფიქრა ხელისუფლების დაბრუნებისთვის.

დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურ რუკაზე „მესამე" პარტიის გამოჩენამ მიიღო უფრო რთული კონფიგურაცია. მხედველობაში გვაქვს ქვეყნის საარჩევნო სისტემის თავისებურება; პარლამენტის არჩევნებში მმართველი პარტიის დამარცხების შემთხვევაშიც კი მთავარი ოპოზიციური პარტიის ხელმძღვანელობას ამჟამად აღარინდელივით აღარ გააჩნია გარანტიები იმისთვის, რომ მათ ავტომატურად მიიღონ შესაძლებლობა შექმნან ახალი მინისტრთა კაბინეტი.

დიდი ბრიტანეთის თემთა პალატაში ოპოზიციურმა ფრაქციამ, მიიღო რა დეპუტატთა უმრავლესობის მხარდაჭერა, საკმაოდ იოლად მიაღწია 1979 წელს მთავრობის ვადაზე ადრე გადაყენებას, პარლამენტის დათხოვნას და ახალი არჩევნების დანიშვნას. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში კი ამისთვის საჭირო გახდა ფედერაციული ადმინისტრაციის მიმართ „კონსტრუქციული" უნდობლობის მიღება.

ორპარტიული სისტემის კლასიკურ ქვეყნებში (აშშ-ში) ან მრავალპარტიულ ბიპოლარულ პოლიტიკურ სტრუქტურაში, სადაც არსებულ პარტიებს იზიდავს ერთ-ერთი – მემარცხენე ცენტრისტული ან მემარჯვენე ცენტრისტული პოლუსი, ხოლო მათ შორის იდეოლოგიური განსხვავება ვლინდება ფრიად რელიეფურად (საფრანგეთი, ყოფილი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, სკანდინავიის ქვეყნები), პარლამენტური ოპოზიცია უფრო ხშირად მიმართავს მთავრობის ინიციატივის ალტერნატიული კურსის წამოყენების ტაქტიკას. 70-იან წლებში ასეთ ტაქტიკას წარმატებით იყენებდნენ დასავლეთ გერმანიის ქრისტიან-დემოკრატები. ასეთი ტაქტიკა არცთუ გამართლებულად უნდა მივიჩნიოთ ნიდერლანდებში, ბელგიაში ან დანიაში, შედარებით მტკიცე პოლიტიკური კონსენსუსის პირობებში, როცა მმართველ და ოპოზიციურ პარტიებს შორის ზღვარი საკმაოდ პირობითია. როგორც წესი, კონკრეტული პრობლემების განხილვა, კერძოდ – ყოველწლიური ბიუჯეტის მოსმენისას ოპოზიციის დეპუტატები ცდილობენ მმართველი კოალიციის პოლიტიკური სტრატეგია გადაიყვანონ უფრო ფართო დისკუსიის მიმართულების საერთო კალაპოტში.

თანამედროვე საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ტერმინი „ოპოზიცია" აერთიანებს რთულ, კონგლომერატულ ძალას, რომელშიც მოქმედებს როგორც მემარცხენე, ისე მემარჯვენე რადიკალური ტრადიციები. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტში მოქმედებს ოპოზიციური კოალიცია, ოპოზიციური ბლოკი მაინც რჩება ფრიად დაქსაქსულად და დანაწევრებულად, რაც ჩვეულებრივ დამახასიათებელია დემოკრატიის პოლიტიკური სტრუქტურის გენეზისის ადრეული ეტაპისთვის. ქვეყანაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალების განლაგება ისეთია, რომ როგორც მემარცხენე, ისე მემარჯვენე ოპოზიციას ჯერ კიდევ არა აქვს საკმაო გავლენა პოლიტიკური ხელისუფლების მოსაპოვებლად. ამასთან ორივე ოპოზიციას საკმაო შესაძლებლობა გააჩნია სერიოზული კორექტივები შეიტანონ მთავრობის სოციალურ-პოლიტიკურ საქმიანობაში. ამჟამინდელი ხელისუფლების კურსის მოწინააღმდეგეთა კოალიციის გაფართოების მიუხედავად, საქართველოს საზოგადოების პოლიტიკურ სტრუქტურაში ოპოზიცია ორგანიზაციული სახით, დამოუკიდებელ და სრულუფლებიან ინსტიტუტად ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა. დსთ-ს ქვეყნებში და ბალტიისპირეთში, ისე როგორც სხვა პოსტოტალიტარულ ქვეყნებში (ესპანეთი, პორტუგალია) დემოკრატიაზე გადასვლის პროცესი, ოპოზიციური პარტიების მოღვაწეობის სფერო, წესისამებრ არ სცილდება პარლამენტის ჩარჩოებს. ყოველ შემთხვევაში, „ცივილიზებული", ქმედითუნარიანი ოპოზიციის არსებობა, რომელიც მთავრობასთან ურთიერთქმედებით ფუნქციონირებს – ყოველი დემოკრატიული საზოგადოების ნორმალური მდგომარეობის და მისი წარმატებითი განვითარების მაჩვენებელია.

როგორც აღვნიშნეთ, თანამედროვე საქართველოს საზოგადოებრივ სტრუქტურაში ოპოზიცია ორგანიზაციული სახით დამოუკიდებელ და სრულუფლებიან ინსტიტუტად ჯერ არ ჩამოყალიბებულა. არ არსებობს ოპოზიციურ პარტიათა კოალიცია: რიგ შემთხვევაში იგი ძალზე დაქსაქსულია, რიგი პარტიების პოლიტიკური კულტურა დაბალია, არასაკმარისი გავლენა აქვთ პოლიტიკური ხელისუფლების მოპოვებისთვის. ოპოზიციურ კოალიციის არარსებობამ განაპირობა 1995 წლის 5 ნოემბრის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების შედეგებიც: პატარა, 5 მილიონიანი მოსახლეობის საქართველოში საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობდა 54 პარტია; მათ შორის 8 ბლოკი. საპარლამენტო არჩევნების შედეგთა მიხედვით პროპორციული ხუთპროცენტიანი ზღვარი გადალახეს და საგრძნობი წარმატებები მოიპოვეს: მოქალაქეთა კავშირმა – 504058 ხმა – 23,71% (მიიღო 90 სადეპუტატო მანდატი); ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ – 169218 ხმა – 7,95% (მოიპოვა 31 სადეპუტატო მანდატი) და სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირმა – 145626 ხმა – 6,8 % (მიიღო 25 სადეპუტატო მანდატი).

ხუთპროცენტიან ზღვართან ახლოს იყვნენ: ერთიანი კომუნისტური პარტია და სოციალ-დემოკრატიული პარტია (4,49%), ტრადიციონალისტთა კავშირი (4,22%), XXI საუკუნე – კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება – ერთიანი საქართველო (4,15%) და სოციალისტური პარტია (3,79%).

საქართველოს ახლადარჩეული პარლამენტი შემდეგი შემადგენლობისაა: ეკონომისტი – 39; ინჟინერი – 58; პედაგოგი – 21; ფიზიკოსი – 13; ექიმი – 12; იურისტი – 11; პოლიტიკოსი – 11; ისტორიკოსი – 10; ფილოლოგი – 9; მათემატიკოსი – 4; რეჟისორი – 4; ბიოლოგი – 4; მწერალი – 3; აგრონომი – 3; აგრომელიორატორი – 2; პოლიტოლოგი – 2; ჟურნალისტი – 2; ფილოსოფოსი – 2; ზოოინჟინერი – 2; არქიტექტორი – 1; ქიმიკოს-ტექნოლოგი – 1; კიბერნეტიკოსი – 1; ნიადაგმცოდნე – 1; პიანისტი – 1; სტუდენტი – 1; ინგლისური ენის სპეციალისტი – 1; პროფესორი – 1.

აქედან 28 პარლამენტარი დროებით უმუშევარი იყო. პარლამენტში ქართველთა გარდა არჩეულია აფხაზი, რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ოსი, ებრაელი და სხვა ეროვნების წარმომადგენელი.

პრეზიდენტობის კანდიდატად კენჭს იყრიდნენ: ედუარდ შევარდნაძე – მიიღო ამომრჩეველთა 75%; ჯუმბერ პატიაშვილი – 17%; აკაკი ბაქრაძე – 19338 ხმა; პანტელეიმონ გიორგაძე – 7940 ხმა; ქართლოს ღარიბაშვილი – 7370 ხმა და როინ ლიპარტელიანი – 5707 ხმა. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 63%-მა. რუსეთსა და უკრაინაში არჩევნების ჩატარება საქართველოს მთავრობას 120000 დოლარი დაუჯდა. თითო უბნის შესაქმნელად 5000 დოლარი გამოიყო, მივლინებულ პირთათვის კი სულზე 1000 – 1000 დოლარი.

საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს, რომ მის მოქალაქეებს უფლება აქვთ ორგანული კანონის შესაბამისად შექმნან პოლიტიკური პარტია ან სხვა პოლიტიკური გაერთიანება და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში. ამასთან დაუშვებელია საზოგადოებრივი პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ომის ან ძალადობის პროპაგანდა, ეროვნული, კუთხური, რელიგიური ან სოციალური შუღლის გაღვივება; დაუშვებელია აგრეთვე საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა მიერ შეიარაღებული ფორმირებების შექმნა.

შოთა თეთვაძე

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართველის მედი რუსეთში

დასასრული. დასაწ. იხ. „საქართველო“ №59

რუსეთში დიდი ხნის მანძილზე მცხოვრები ჩვენი თანამემამულენი კარგად არიან მოწყობილნი, მაგრამ მათთან მისვლა არ ღირს. არ მიგიკარებენ, ხელს არ გამოგიწვდიან, მშობლიურ ენაზეც არ გიპასუხებენ (თუ არ ჭირდებათ). ძნელია, თუმცა გაგება შეიძლება. ვაითუ გაუხსენოს რუსმა – „ვინ ვინ იყო და ვინ რად იქცა“. მაშინ მშვიდობით კეთილდღეობავ; სიცოცხლე შეგძულდება! აი, ერთი საილუსტრაციო მაგალითი: რუსები ისეთ ნაციონალურ-შოვინისტურ აბსურდამდე მივიდნენ, რომ ჩვენს შეუდარებელ მაესტროს, რუსეთის თეატრის სოლისტს, მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორს ზურაბ სოტკილავას მთელი სიმკაცრით ეკითხებიან, თუ რატომ არ ასრულებს ეს უკანასკნელი განთქმულ არიებს მათ ენაზე-რატომ ხდება დიდი რუსული ენის იგნორირება? სამწუხაროდ, მაესტროს ტელევიზიის საშუალებით მოუხდა მათთვის ელემენტარული ჭეშმარიტების ახსნა, რომ „ჯამბაზების“ ტექსტი დაწერილია იტალიურ ენაზე, ლენსკის არია – მშობლიურ რუსულზე, ხოლო მურმანის სახე ქართული სულის გამოვლინებაა. პარადოქსია, მაგრამ ასეა.

მასობრივი საინფორმაციო საშუალებები, მრავალი ოფიციოზები და ნახევრად ოფიციოზები, პარტიები, ფრაქციები, მაჟორიტარები, „ელცინისტები“, „ჩერნომირდინისტები“, „რუცკისტები“, „ლებედისტები“– თავიანთ მასალებში, პროგრამებში, წესდებებში, განცხადებებსა და რჩევა-დარიგებებში არწყებენ დიდ „რუს ხალხს“, რომ „...საჭიროა აკრძალოს იმ ორგანიზაციათა საქმიანობა, რომლებიც ფორმულირებულნი არიან ნაციონალური ნიშან-თვისებებით... გამოვლენილ იქნას სახელმწიფო სტრუქტურებში ნაციონალური შემადგენლობის მონაცემები... ცალკეულ სიებში გამოიყონ ეთნიკური რუსები, უკრაინელები, ბელორუსები და კაზაკები... სახელმწიფო დუმაში არჩევნებთან ერთად ჩატარდეს რეფერენდუმი ქალაქისადმი... წმინდა რუსული ქალაქის სტატუსის მინიჭებისათვის... ბოლო გადაწყვეტილების შესაბამისად სხვა რესპუბლიკებიდან არარუსი მოსახლეობის ნაკადის მიღებამდე შეწყდეს ჩამოსულ პირთა ჩაწერა, ყოველგვარი უძრავი ქონების მათთვის გადაცემის აკრძალვით...“ („რუსული სათემოს“ დეკლარაცია). „...მარტო ლდპ-მ პირველმა წამოსწია ლოზუნგი „დავიცვათ რუსები... კავშირის ყოფილ „მოძმე“ რესპუბლიკებში. ჩვენმა ფრაქციამ პირველმა შეიმუშავა კანონპროექტი: უცხოეთის ქვეყნებში რუსეთის მოქალაქეთა დაცვის ღონისძიებების შესახებ. ჩვენ მოვითხოვდით მიღებულიყო უმკაცრესი ზომები ყოველი რუსი ადამიანის უფლებების შელახვის შემთხვევაში ყოფილ სსრკ რეგიონებში და აღგვედგინა უდიდესი სახელმწიფოს სტატუსი“ („ჩემი გარანტიები ამომრჩევლებს“, ვ.ჟირინოვსკი, მ. 95); „...გაბედულად გამოვდივართ აფხაზეთის ეკონომიკური ბლოკადის წინააღმდეგ... (ჩვენ) ვუჭერთ მხარს იძულებით განსახლებულთა სტატუსს და რუს ლტოლვილებს...“ („კომფრაქციის“ განცხადებიდან).

გარდა ამისა, მაგალითად, ვოლგოგრადში, ციოლკოვსკის ქუჩაზე იფურჩქნება რედაქცია „კოლოკოლი“ აბრით: „თავშესაფარი რუსებისათვის“. მოქმედებს ლეგალური ორგანიზაცია, რომლის დევიზია „უზრუნველყოს რუსული რასის სიწმინდე“. გამოდის სამი რეაქციული გაზეთი, რომლებიც აგრეთვე მოუწოდებენ რუსებს ერის ტოტალური წმენდისაკენ და სხვა.

არ მოვერიდები და გავმეორდები: ყოველივე ქართული რუსებს სულით ხორცამდე სძულთ! მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ სტალინმა კაეიანი რუსეთი ატომურ სახელმწიფოდ გარდაქმნა, მისი დაბადებიდან 120 წლისა და გარდაცვალებიდან 50 წლის გასვლის შემდეგაც კი არ დამცხრალა რუსული სადიზმით გამსჭვალული მისი კრიტიკა: „ჯულაშვილი ქართველი უზურპატორია, ყოველი სლავიანურის დამანგრეველი, მხოლოდ საკუთარი სამშობლოს ამშენებელი, არაშორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი, რომელმაც რუსეთი გადააქცია დღევანდელ საბარდაგო სახლად“. თურმე ნუ იტყვით, სტალინი, რომელიც ლენინთან ერთად აშენებდა კომუნისტურ საზოგადოებას, რუსეთის იმპერიის ჯაშუში გახლდათ. გაბოროტებულნი იმაზე, რომ თვით ადამ და ევადან ბრძენი და გამჭრიახი თავერები არ ჰყოლიათ (როგორც ცნობილია, პეტრე I მამით ქართველი იყო, ხოლო ეკატერინე II წარმოშობით გერმანელი – ავტ.) და რომ ჩვენ უკეთ მოგვცილან გული, სადღაც ისტორიის სიღრმეში სათავისოდ „გაქექეს“ და „დაიჭირეს“, რომ იმპერიის დეპარტამენტის პოლიციამ, რათა „სათანადო სიმაღლეზე აეყვანათ თავიანთი თანამშრომლები“ ყველაზე „დაკონსპირირებულ რევოლუციური პარტიების ცენტრებში“ განზრახ შეიყვანეს სტალინი. თურმე მან, როგორც ნიკოლოზ II სისტემის აქტიურმა აგენტმა, თვითონ ისურვა ციმბირის თურუხანოვის მხარეში გადასახლება და იქიდან დარბოდა მათი სურვილისამებრ; სტალინი თურმე დამნაშავეა იმაშიც, რომ თუ არა 1937 წელი მხედველობაში აქვთ წითელი არმიის გენერალიტეტის წმენდა – ავტ.), არ იქნებოდა უბედური 1941 წელიც და ჰიტლერი ვერ გაბედავდა რუსებთან ომის დაწყებას. მან ეს მოახერხა თავისი გენიალური განჭვრეტით; გათვალა, თუ რაოდენ დიდ ზიანს მიაყენებდა რუსეთს ამგვარი ქმედებით, რომელიც სტალინმა ვითომ თავისი უშუალო სურვილით განახორციელა („МН“, №10, 11. ТР. РРФ, ОРТ, 95-96).

კიდევ მაგალითი: „მხოლოდ ერთ დღეში –– 1942 წლის 23 აგვისტოს დაბომბვის შედეგად სტალინგრადში დაიღუპა 50 ათასი ადამიანი.. ასე რომ, 23 აგვისტოს ათიათასობის ქალების, ბავშვებისა და მოხუცების სიკვდილში უპირველეს ყოვლისა დამნაშავეა სტალინი“. (газ. “Интер“, ст. Память не испепелить, но сердце:...“, 23.08.96. Вл.); თუმცა დიდ პიროვნებებს მიუფურთხებიათ მუცელგადმოგდებული გაბოროტებული ჯუჯების „ბრუტისეულ“ სიმუხთლეზე. ბელადმა განჭვრიტა მრავალმილიონიანი ერის უმადურობა და უანდერძა მას: „სიკვდილის შემდეგ ჩემ საფლავზე უხვად მოზიდავენ ნაგავს, მაგრამ ისტორიის ქარიშხალი გაფანტავს მას...

კიდევ ერთი კურიოზი: „...პირველმა გამარჯვების წითელი დროშა რაიხსტაგზე აღმართა 79-ე მსროლელი კორპუსის კაპიტან ე.მაკაროვის ჯგუფმა... გაცილებით მოგვიანებით, 2-3 საათის შემდეგ უკვე სხვა დროშა რაიხსტაგზე აღმართეს მეგოროვმა და მქანთარიამ“ (журн. “Семья и школа“, №5, 90, М.) და სხვა.

იმის გამო, რომ ქართველი ბავშვები სათანადოდ არ ფლობდნენ რუსულს, რის გამოც მათ სკოლებში არ ღებულობდნენ (ნაციონალური სკოლები იქ არ ფუნქციონირებენ), ჩვენ ვთხოვეთ მილიონიან ქალაქ ვოლგოგრადის ადმინისტრაციას გაეხსნა რამოდენიმე კლასი (გამოეყოთ 2-3 ოთახი), სადაც ფაკულტატივის სახით უსასყიდლოდ ვასწავლიდით მშობლიურ ენას, დავხვეწდით რუსულს, რაზეც უარი მივიღეთ. იქ მყოფი ჩვენებურები სინანულით იგონებდნენ ქართულ ლიბერალობას და ზედმეტ კაცთმოყვარეობას, რამაც გვაიძულა გნებავთ თუ მარტო თბილისში გაგვეხსნა ათობით რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, რესპუბლიკაში კი ოსური, აფხაზური სხვადასხვა რანგის სასწავლებლები (ვგონებ, თურქული უნივერსიტეტის გახსნასაც არ ვივიწყებთ).

ტერორისტული აქტების სერიალმა, რომელიც სერპანტინივით გავრცელდა რუსეთის მსხვილ ქალაქებში, ამ ხალხის ცნობიერებაში ჩამოაყალიბა აშკარა მტერი კავკასიური პროფილით – ქართული კეხიანი ცხვირითა და ჩიჩნური შავი წვერულვაშით, რამაც ბოლომდე აუტანელი გახადა მიგრანტთა იქ ყოფნა. თვით რუსეთის ძალოსნური სტრუქტურების მიერ ინსცენირებული ეს აფეთქებები საბოლოოდ უხსნიდა ხელ-ფეხს იმ სამსახურებს, რომელთაც დავალებული ქონდათ რუსეთის ტერიტორიის მასიური წმენდა დაუპატიჟებელი „სტუმრებისაგან“.

კიდევ ერთი გულსაკლავი ფაქტი: ლეონიდ ბაგრატიონ-მუხრანელმა, ბრწყინვალე დინასტიის შთამომავალმა, ხანდაზმულმა მოხუცმა, რომელიც დღეს რუსეთში ცხოვრობს, ცენტრალური ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში სინანულით მოგვითხრო იმის შესახებ, რომ არ ღებულობს არანაირ პენსიას, თითქოს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობა არ ყოფილიყოს ერთიანი. უფრო მეტიც, რუსეთი მანეთსაც არ უხდის თუნდაც იმისათვის, რომ იგი 1941-45 წლების ე.წ. დიდი სამამულო ომის უშუალო მონაწილეა, თუმცა ორდენებისა და მედლების არანაკლები რაოდენობა გააჩნია, ვიდრე „გრაჩოვისა და რუცკოის“ ყაიდის გამოჩენილ გენერლებს აქვთ. ბრწყინვალე გვარის წარმომადგენელი ქართველი თავადი არანაირად არ არის უზრუნველყოფილი. ინტერვიუს დასასრულს მოხუცმა სინანულით აღნიშნა, რომ „...რუსები სჩადიან სისაძაგლეს, შეურაცხყოფენ, თხრიან, მიწასთან ასწორებენ გამოჩენილ ქართველთა საფლავებს, რომლებიც უდიდესი რწმენითა და სიყვარულით ემსახურებოდნენ რუსეთს და გაიღეს თავიანთი სიცოცხლე მისი აყვავებისათვის. არც რუს ჩინოვნიკებს და არც მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებს ამასთან არავითარი საქმე არა აქვს“. (ОРТ, 96).

ფედერაციის ცენტრალურ ქალაქებში, სადაც მიგრანტები მრავლად არიან, დამკვიდრდა მანკიერი ჩვევა ჩამოსულთა ბინებში, სასტუმროს ნომრებსა და მათ მიერ დაკავებულ ოთახებში „ბახუსით გამობრუჟულ“ მოძალადეთა შევარდნები შეძახილებით: „ქართველებო, წაეთრიეთ სახლებში!“, „ვირთხებივით გაგანადგურებთ!“, „თქვენ ჩვენი მტრები ხართ!“ ამსხვრევენ ყველაფერს, ამცირებენ ქალებს, სცემენ ბავშვებს,ართმევენ უკანასკნელს. არცთუ იშვიათად ყოველივე სისხლიანი ფინალით მთავრდება. სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი „სპეცნაზელები“„დუბინკებითა“ და გალესილი „ნიჩბებით“ შეიარაღებულნი ანგარიშსწორებისთვის მიათრევენ თავიანთ მსხვერპლთ, რომლებიც გვიან ბრუნდებიან დამტვრეული ძვლებითა და ჩასისხლიანებული თვალებით.

ჩვილი რჩება როგორც „ღაღადი უდაბნოსა შინა“, ვინაიდან რუსები რჩებიან რუსებად, სპეცნაზი ისევ სპეცნაზია, გენერალი ალექსანდრე ლებედი კი – მათი წინამძღოლი და აქ ყველაფერი გასაგები უნდა იყოს. დიახ, ეს სწორედ ის გენერალია, რომლის „ბიჭებმა“ მისივე თამადობით ხალხის ხოცვა-ჟლეტა რომ მოაწყეს თბილისში, ბაქოსა და ვილნიუსში. ისინი მოსკოვის „პუტჩშიც მოქმედებდნენ“, მხოლოდ არ უსვრიათ, არ დაუხოცავთ. ლებედმა იქაურ მთავრობას შემდეგი განუცხადა: „...მე რუსი გენერალი ვარ და ჩემს ხალხს არასგზით არ ვესვრი!“ („За отчизну обидно“; А.Лебедь, М.96).

ქართველთა თავსდატეხილი უბედურება, მწარე სინამდვილე მათ ტრაგიკულ ბედ-იღბალზე დროდადრო „შეაშფოთებს“ ხოლმე რუსეთის „კინოვარსკვლავებს“, „უნიკალურ“ მეცნიერებს, „იშვიათ“ მომღერლებს, „შეუდარებელ“ მხატვრებს და სხვებს, ვინც ვერც მოასწრო საზღვარგარეთ დროზე გაქცევა. არ დაუჯეროთ მათ! ეს ყველაფერი მოჩვენებითია, რომელიც მხოლოდ რეკლამასა და საქმეს სჭირდება, ვითომდა რა ხალხთმოყვარენი ვართო. სინამდვილეში კი ბატონ რუს ინტელიგენციას, ყველას, ვისთვისაც უცხო არაა ჭეშმარიტი, უზადო შემწყნარებლობა, ურჩევნია ჩაუფიქრდეს, ასწონ-დასწონოს და შეაფასოს ქვემოთ მოყვანილი შემდეგი სიტყვები, წარმოთქმულნი ჩემთან საუბრებში: „ნაბრძანები გვაქვს ქართველები გაგაძევოთ ქალაქიდან, არ მოგცეთ გასაქანი!“ (ვოლგოგრადი, ლეიტანანტი ა.იარაპოლოვი); „როგორც არ უნდა იწრიალოთ, მაინც არამზადები და ცბიერნი ხართ!“ (როსტოვი, უფრ. ლეიტენანტი ვ.ლებედევი); „ამბობ, რომ თავისუფალი ჟურნალისტი ხარ, მამაცი და გაბედული; მაშ რა ჯანდაბა გინდა აქ რომ ტრიალებ? ნამდვილი მამაკაცები დღეს ჩეჩნეთში იბრძვიან!“ (კრასნოდარი, ეფრეიტორი ი.დუდინი); „თქვენში კარგები არიან მარტო ქალები, დანარჩენი კი ეშმაკსაც წაუღია!“ (სარატოვი, უფრ. სერჟანტი ი.დავლუხანოვი) და სხვა. მართლაც რომ საქმით სჭირდებათ ქართველებს გამოქომაგება და არა ცრუ სქოლასტიკით.

აი, ასეთი საქმეებია... გამოუტენიან თავს ბრიყვ რუს ობივატელს უაზრო სისულელეებით, უნერგავენ გაუგებარ, რობოტისეულ სიძულვილს ყოველი არარუსულისადმი, რითაც კიდევ უფრო აღვივებენ ხალხთა შორის განხეთქილებას. იქაურ ობივატელს კი მეტი რა უნდა? დაჰკრას და გაიარგამოიაროს ქართველის ზურგზე, რომელიც ხშირად ერევა ხან სომეხში, ხან აზერბაიჯანელში და ხანაც ჩეჩენში. ასე რომ, მარადიული რუსული ფაშისტური ლოზუნგი – „დაჰკა ურიებს, ოღონდ ქართველებიც არ დაივიწყო!“ დღესაც ძალაშია რუსეთში.

ჩვენდამი „განუმეორებელ სიყვარულს“ რუსები გამოხატავენ გაუთავებელ უწმაწურ ანეკდოტებშიც, რომლებიც დიდი ტირაჟით იბეჭდებიან. ამ ჟანრის „ცნობილი“ მეცნიერ-ანალიტიკოსების ე. და ა.შმელიოვების სიტყვებს თუ მოვიშველიებთ „...ანეკდოტებში, შარჟებში, სკეტჩებში ქართველები წარმოდგებიან როგორც არაჩვეულებრივად ხმაურიანი, მდიდარი და უგემოვნოდ ჩაცმული ადამიანები. მათ უყვართ ყულოჩინობა, ტრაბახი, არარსებული დოვლათის ჩვენება... ზედმეტად ამპარტავანნი არიან, არცთუ ისე ვაჟკაცურნი, უყვართ უზომო სმა-ჭამა, გემოზე გაძღომა, ქალებს „აზიურად“ ე.ი. უხეშად ეპყრობიან...“

მაგალითისათვის რამდენიმე ანეკდოტი: „ქართველმა დაიჭირა ოქროს თევზი. ამ უკანასკნელმა დაუწყო ხვეწნა, ზღვაში გამიშვიო. ქართველმა უთხრა: (აქ და სხვაგან ხმარებულია უმოწყალოდ დაჩეხილი რუსული ) -გაგიშვებ, მხოლოდ საქართველო გამიკეთე შავი ზღვიდან ბარენცის ზღვამდე, ჩემი ცოლი კი გამილამაზეო. ოქროს თევზი დაფიქრდა და მიუგო: პირველს კიდევ შეგისრულებ, მაგრამ ქართველ ქალს ვერ გაგილამაზებ, ასე რომ შემწვიო“. ( რუსეთის ფედერაციის სახალხო არტისტი, მოსცირკის ხელმძღვანელი ი.ნიკულინი, 95); „ვანო, ცოლს ჯარში აგზავნი?“, - „რას ამბობ, ის ხომ ჯერ ბიჭუნაა!“ (Вл.газ. “Все для вас“, 95); „ძმაო, აღარ შემიძლია, უკვე ერთი კვირაა რაც უქალოდ ვარ!“ - „გოგი, ძვირფასო განა ეგ ქალი ქალი არ არის?“ - ეხლა ეგებ დედაჩემიც გაიხსენო?!“– (Р/Дон.газ. “На В/бульваре“, 96).

განა ამ სიბინძურეს სჭირდება კომენტარები?!

დელიკატურ ნაციონალურ პოლიტიკაში არაფერი ისე ძვირი არ ჯდება, როგორც ნაციონალიზმი ჩასმული რუსული შოვინიზმის ჩარჩოებში, რომელიც განუმეორებელია მსოფლიოს მასშტაბით. ჭეშმარიტება საკმაოდ ბანალურია, მაგრამ ამის მიუხედავად რუსეთის როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკა ჯიუტად აბიჯებს ფეხს ერთსა და იმავე ფოცხს და თუმცა ტარი შუბლში ხვდება, ვერ გრძნობს ამას. სწორედ ამიტომ არარუსები სულ უფრო უარესად და საზიზღრად გრძნობენ იქ თავს. მათ ყოველ ნაბიჯზე ახსენებენ კარგა ხნის მივიწყებულ ოსვენცურ-მაიდანეკის წესს: „ნაბიჯი მარცხნივ, ნაბიჯი მარჯვნივ... ბახ!“ უუფლებო, უკულტურო რუსულ საზოგადოებაში კანონები თითქმის არ მუშაობენ. ამიტომ უფრო მჭიდროდ გვერტყმიან გარს უსამართლოდ დევნ[illegible]ული გირაგები.

მას შემდეგ, რაც წამოიჭრა ქართველი მიგრანტის პრობლემა, გავიდა წლები, მაგრამ მისი მოგვარება არ დაძრულა გაყინული წერტილიდან. არა და ყველაფერი მარტივადაა. საჭიროა მხოლოდ ძველ-რუსული ომახიანი შეძახილი: „არ შემოუშვათ! აკრძალეთ!“ და მორჩა, ასე ხომ გაცილებით ადამიანურია, ვიდრე სტანჯო და აწამო. მაშინ ვინღა ისპეკულიანტებს კაცთმოყვარეობით, დემოკრატიით, ადამიანთა უფლებების დაცვით?! ვინღა მოსდებს მსოფლიოს, რომ მარტო რუსები სცემენ პატივს ყველას და ყველაფერს, განსაკუთრებით კი მცირერიცხოვან უპატრონო ერებს, ლატკებს?! მაგრამ ნურას უკაცრავად! აღარავინ ცურდება მის ამ ჩელხზე და ყოველმხრივ ცდილობენ შორს დაიჭირონ თავი გაუწონასწორებელ, მუდამ ბახუსში მყოფ „ჩრდილოეთის დათვისაგან“.

მე კიდევ შემიძლია მოვიყვანო უამრავი მაგალითი რუსეთში ჩვენ თანამემამულეთა არაადამიანური ტანჯვის შესახებ, მაგრამ ვფიქრობ ესეც საკმარისია. გამოსავალს ვხედავ მხოლოდ ძველ, ბრძნულ ვიეტნამური იგავის არსში: „რაც არ უნდა გაგრძელდეს ღამე, დილა მაინც დადგება“. დარწმუნებული ვარ, რომ მათთვისაც, ფაქტიურად გადასახლებულთათვისაც, დადგება ულამაზესი და განუმეორებელი ქართული აისი. დავრწმუნდი იმაშიც, რომ საჭიროა ხალხების თავიანთ გამოქვაბულებში დაბრუნების პროცესის ყოველმხრივ კატალიზირება. ნაციონალიზმია?! რატომ! ხომ ფაქტია, რომ ამ გაუთავებელმა „მობრძანდით“, „დაბრძანდით“, „ინებეთ“, „მიირთვით“– ჩვენ მხოლოდ ზიანი მოგვაყენა. ბოლოს ისე გამოვიდა, რომ ქართველები ყველგან გერებად დავრჩით. უფრო მეტიც, ჩვენ ძირძველ მამაპაპისეულ მიწაზე ვცხოვრობთ გაცილების უარესად, ვიდრე „სტუმრად მოპატიჟებული“ გადამთიელები. განა ასე არ არის?!

ფერდინანდ (ჯემალ) ბეთანელი,
მარინე
შევარდენიძე – ბეთანელი
სანქტ-პეტერბურგი

## საქართველოში დისლოცირებული რუსეთის ჯარები ხელფასს კვლავაც რუსულ რუბლებში იღებენ

საქართველოს ეროვნული ბანკი ცდილობს აიძულოს საქართველოში დისლოცირებული რუსეთის ჯარების ხელმძღვანელობა, ხელფასები გასცენ საქართველოს ეროვნული ვალუტით – ლარებში, ხოლო რუსული რუბლი ჩაურიცხონ ეროვნულ ბანკს. ჯერჯერობით ეს საკითხი გადაწყვეტილი არ არის და რუსეთის ჯარები ხელფასს კვლავ რუსულ რუბლებში იღებენ, რაც გარკვეულწილად, ლახავს საქართველოს ინტერესებს.

იბერია

## მოსკოვში აფხაზეთის ე.წ. წარმომადგენლობის მიერ გავრცელებული განცხადება

აფხაზეთის ე.წ. წარმომადგენლობამ მოსკოვში გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ მოსკოვის, სანქტ-პეტერბურგისა და სხვა ქალაქების ხელმძღვანელები ქართველი ფაშისტების ზეწოლით წინააღმდეგობას უწევენ რუსეთის ტერიტორიაზე აფხაზეთის საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას. ისინი ყველანაირად უშლიან ხელს რუსეთში მცხოვრებ აფხაზეთის მოქალაქეებს, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში. მიუხედავად ამისა, მოსკოვში აფხაზეთის წარმომადგენლობა გამონახავს ფორმას, რომლითაც იგი შესძლებს მოსკოვში, სანქტ-პეტერბურგსა და რუსეთის სხვა ქალაქებში მცხოვრები აფხაზეთის მოქალაქეების სურვილის დაკმაყოფილებას – მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში. განცხადებაში ნათქვამია, რომ ვერავინ ვერ დაუშლის ადამიანებს მივიდნენ აფხაზეთის წარმომადგენლობაში, რომელიც მოსკოვში მდებარეობს და გამოხატონ თავიანთი ნება. ეს მათი უფლებაა, რომელიც დაცულია საერთაშორისო სამართლით.

იბერია

## თბილისის ქუჩებში დაგეგმილია საერთაშორისო კავშირგაბმულობისათვის განკუთვნილი ტელეფონ-ავტომატების დადგმა

„საქართველოს ტელეკომის“ ინფორმაციის თანახმად, უახლოესი მომავლისათვის დაგეგმილია ქალაქის ქუჩებში საერთაშორისო კავშირგაბმულობისათვის განკუთვნილი ტელეფონ-ავტომატების დადგმა. ამ მიზნით შეძენილია ტელეფონ-ავტომატების პარტია. უახლოეს მომავალში, ჩვეულებრივი ტელეფონ-ავტომატებიდანაც სპეციალური ბარათით შესაძლებელი გახდება მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში დარეკვა.

იბერია

# ვეშაპის სინდრომი

**დღევანდელი პუბლიკაცია ერთადერთ მიზანს ისახავს – აჩვენოს მკითხველს რუსეთის არმიის რეალური ვითარება. ეს იმათთვისაც კეთდება, ვისაც რუსული არმიის იმედი აქვს და იმათთვისაც, ვისაც პანიკური შიში უვლის ძარღვებში ამ არმიის ხსენებისას. არავის ეგონოს, რომ სურათი გამუქებულია – ყველა ფაქტი აღებულია ღია, ძირითადი კი – ოფიციალური წყაროებიდან.**

რუსული არმია, რომელსაც, როგორც დაინახავთ, სავსებით უსაფუძვლოდ ერთ დროს მრისხანე საბჭოთა ჯართან ვაიგივებთ, ჯერ კიდევ არსებობს, მაგრამ ისეთი სენითაა ავად, რომლისგან განკურნებაც დღევანდელ პირობებში სავსებით შეუძლებელი ჩანს.

ამ ცხოველის გასაჭირი, ალბათ, ყველამ იცით: ვეშაპს უზარმაზარი მასა აქვს, ამ მასის შესაბამისი მადა, რომელთა გამოც ოკეანის უმძვინვარეს მტაცებლად იქცეოდა, ერთ რამეს რომ არ შეეშალა ხელი – საყლაპავი იმდენად ვიწრო აქვს, რომ წვრილ-წვრილი თევზებისა და პლანქტონის მცენარეების გარდა ვერაფრით იკვებება. ზუსტად მას გავს დღეს რუსეთის არმია, საჭიროსა და შესაძლებელზე მეტად გაბერილი, მრავალამბიციური, მაგრამ საქმეში მოუქნელი და მოულოდნელად ჯაბანი. მის დღევანდელობაში თავი იჩინა ყველა იმ სენმა, რომელიც საბჭოთა ჯარს ჰქონდა, მაგრამ გარეშე თვალისთვის მიჩქმალული იყო.

საბჭოთა არმიაზე, გადაუჭარბებლად, მთელი კავშირი მუშაობდა და მისი მასშტაბებიცა და შესაძლებლობებიც შესაბამისი იყო – შესაძლო მოწინააღმდეგედ განიხილავდა მთელს ნატოს ბლოკს და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების გარეშეც სამხედრო პოტენციალი მასზე ერთნახევარჯერ მეტი ჰქონდა.

იმპერიის დაშლის შემდეგ რუსეთს იმ ძლევამოსილი არმიის 85 პროცენტი ერგო მემკვიდრეობით, რომელსაც ძველი მრისხანე სახელიც გადმოჰყვა. მაგრამ ეკონომიკურმა დაცემამ რუსულ ჯარზე გამანადგურებლად იმოქმედა. უზარმაზარმა სამხედრო სტრუქტურამ, თითქოს ჰაერი გადაუკეტესო, შემცირებული დაფინანსების პირობებში თავი ვეღარ გაართვა ძველ ამოცანებს და არა მხოლოდ შეწყვიტა განვითარება, არამედ აჩქარებით უფსკრულისაკენ დაგორებაც დაიწყო.

დაცემის სურათი მართლაც ნოსტრადამუსის კალმის ღირსია: 1990 წლიდან 3,9 მილიონიანი ჯარი 1,5 მილიონამდე დავიდა, სამხედრო წარმოება 90 პროცენტით შემცირდა, ხარჯები არმიის შენახვაზე – 75 პროცენტით, იარაღის შესყიდვაზე – 92 პროცენტით, სამეცნიერო-კვლევით მუშაობასა და შეიარაღების ახალი სისტემების შექმნაზე – 91 პროცენტით.

უკვე ორი წელია, რაც რუსეთის არმია ბიუჯეტით გათვალისწინებულ რაოდენობას აღემატება. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ზედმეტი პირადი შემადგენლობის შენახვაზე ხარჯები სხვა პროგრამებს – შეიარაღების შესყიდვას, სამეცნიერო მუშაობას, მშენებლობას და ა.შ. უნდა მოაკლდეს. ლოგიკური გამოსავალი თითქოს ამ „ზედმეტი“ რაოდენობის ჯარიდან დათხოვნაშია, მაგრამ საქმე ასე მარტივად არ წყდება – ოფიცერს, რომელსაც შტატების შემცირებით ათავისუფლებენ, ეკუთვნის ბინა და 20 თვის ხელფასის ოდენობის ერთდროული ანაზღაურება, რათა მან ახალი საქმის დაწყება შეძლოს. ეს კი საბოლოო ჯამში გაცილებით ძვირი ჯდება, ვიდრე იმ ოფიცრის სამსახური და მისი ოჯახისთვის საერთო საცხოვრებლის ერთი ოთახი. ამ მიზეზით თავდაცვის სამინისტრო ვერ მიდის იმ აუცილებელ შემცირებაზე, რომელიც ბიუჯეტითაა გათვალისწინებული. იკვრება წრე, რომელშიც არმია თავისივე გაბერილი რაოდენობის მძევალი ხდება.

ახალი მინისტრს იგორ როდიონოვს, როგორც ჩანს, თავის წინამორბედზე უკეთ ესმის, რომ ასე გაგრძელება და დღევანდელი პრობლემების გადაჭრის სახვალიოდ გადადება საბოლოოდ დაღუპავს არმიას. მან შეიმუშავა გეგმა, რომლითაც დღევანდელი 1,5 მილიონიანი ჯარი




რუსეთის არმიას ჯერჯერობით სამხედრო ფიცი აჩერებს, ხვალ...

სამასი ათასით უნდა შემცირდეს. მაგრამ ამას 12 ტრილიონი რუბლი სჭირდება – 2,4 მილიარდი დოლარი. ეს იმ დროს, როდესაც 1997 წლის სამხედრო ბიუჯეტი, რუსეთის მთელი ბიუჯეტის ერთი მეხუთედი ნაწილი, 98,7 ტრილიონი რუბლია (20 მილიარდი დოლარი. შედარებისათვის – მომავალ წელს აშშ-ს თავდაცვითი ხარჯები 256 მილიარდი დოლარი იქნება). დღევანდელი ფასებით მხოლოდ ერთი მოტომსროლელი პოლკის შენახვა 50 მილიარდი რუბლი ჯდება, მისი დაშლა კი – ოთხჯერ უფრო ძვირი.

ძნელი სათქმელია, წავა თუ არა როდიონოვი საბოლოოდ ასეთ ხარჯებზე, როდესაც ბიუჯეტით მომავალი წლისთვის არმიისთვის შეპირებული თანხა აუცილებელ მინიმუმზე სამჯერ ნაკლებია. არ არის გამორიცხული, რომ შემცირების ფუფუნებაზე ბოლო მომენტში უარი თქვან. მითუმეტეს, რომ გენერლებისთვის ეს პროცესი ძლიერ მტკივნეულია – ისინი ყოველ ოცეულს „გულიდან იგლეჯენ“.

რამოდენიმე წელია, რუსეთში გამოცხადებულია სამხედრო რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავს „პირველი ეშელონის“ – ე.წ. მობილური ძალებისა და „მეორე ეშელონის“ – რეზერვის შექმნას. მაგრამ ამ მიმართულებით თითქმის არაფერი გაკეთებულა აქამდე, მხოლოდ ახლა, როდიონოვის მოსვლის შემდეგ, გაჩნდა ახალ-ახალი იდეები.

თუმცა ახალი მინისტრის ყველა იდეა ყრუ კედელს გადააწყდა – უფულობას. ჯერ კიდევ 1995 წელს ოფიცრებსა და მოსამსახურეებს ვერ აუნაზღაურებს 4 ტრილიონი რუბლის ხელფასი. ვალი მხოლოდ ამ წლის აპრილში დაფარეს, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ეს ფული... 1996 წლის მეორე ნახევრისთვის მოუპარავთ. ამიტომაა, რომ რუსეთის არმიაში ივნისის შემდეგ ხელფასი არავის აუღია – სახელმწიფოს ვალმა 7 ტრილიონ რუბლს გადააჭარბა. ამას ემატება 700 მილიარდი – სხვადასხვა სოციალური დახმარების საფასური, რომელიც მიმდინარე წელს საერთოდ არ გადაუხდიათ. თავად თავდაცვის სამინისტროს სხვადასხვა უწყების 25 ტრილიონიანი ვალი აქვს – თავისი ბიუჯეტის თითქმის მესამედი.

ოფიცრები იმ ზომამდე მიდიან, რომ როდიონოვისავე აღიარებით, ბოლომდე არ ჭამენ სადილს ოფიცერთა სასადილოებში და დარჩენილი ნაწილი სახლში – ცოლთან და შვილებთან მიაქვთ. მათ მდგომარეობას ის ართულებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში აგვისტოს ხელფასებიც კი 96%-ით დაარიგეს, სასაზღვრო უწყებაში – 94%-ით, უშიშროების ფედერალურ სამსახურში კი – სრული 100 პროცენტით. მომავალი წლის ბიუჯეტში უკვე დაგეგმილია თავდაცვის სამინისტროსთვის ხელფასების 3,4 ტრილიონიანი დეფიციტი – ამ ფულს სამხედროები გარანტირებულად ვერ აიღებენ. არმია გრძნობს თავის მეორეხარისხოვნებას და უჩვეულო როლთან შერიგებას ვერ ახერხებს.

მომავალი წლიდან კი ისედაც მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში მყოფ სამხედრო მოსამსახურეებს მოუხსნიან მრავალ შეღავათს – ტრანსპორტით უფასო მგზავრობას, საკვების ყოველთვიურ ულუფას ან მის ფულად კომპენსაციას, კომუნალური გადასახადების 50%-ით ფასდაკლებას, აგრეთვე არმიიდან დათხოვნისას ერთდროულად 20 ხელფასის ოდენობის თანხის მიღებას. თანაც, ეკონომიკის მინისტრის ლივშიცის დაპირებით, სამხედროებს წლევანდელი ხელფასების ვალს მხოლოდ მომავალი წლის პირველ კვარტალში აუნაზღაურებენ და იმასაც კუთვნილი დამატებების გარეშე. ამის შემდეგ აღარაა გასაკვირი, რომ 1995–96 წლებში ჯარიდან წავიდა 147 ათასი ოფიცერი, მათგან 80% ვადაზე ადრე. წასულთა ნახევარი 40 წლამდე ასაკისაა, კიდევ მესამედი კი – საერთოდ 30 წლამდე. ბუნებრივია, ასე ახალგაზრდა ოფიცერთა გულის აცრუება, თუკი, როდიონოვისავე აღიარებით, სამხედრო სასწავლებელთა წლევანდელ კურსდამთავრებული ლეიტენანტებისათვის ფორმების შესაკერი ფულიც კი დიდი გაჭირვებით გამოენახა. ასეთი დენადობის გამო დღეს რუსეთის არმიაში ვაკანტურია ოფიცრის 64000 (!) ადგილი, განსაკუთრებით კი ჯარისთვის საბაზოოცეულისა და ასეულის მეთაურთა თანამდებობების 40%. დღეს კი ეს რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა. გენერალ-პოლკოვნიკ ბორის გრომოვის განცხადებით, მხოლოდ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ჯარი ფინანსური მიზეზით დატოვა 30000 ოფიცერმა და მრავალი ამასვე აპირებს. თუ საბჭოთა არმიაში თვითმკვლელობა საერთო სიკვდილიანობის 20 პროცენტს შეადგენდა, დღევანდელ რუსულ ჯარში იგი 35 პროცენტამდეა ასული, სარაკეტო ჯარებსა და ფლოტზე კი – 50-მდე.

ოქტომბერში არმიის მთავარ მმართველობით ორგანოში, გენერალურ შტაბში, გავრცელდა პროკლამაცია, რომელშიც შტაბის მაღალ მუშაკთა დაუსახელებელი ჯგუფი აფრთხილებდა რუსეთის პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელობას, რომ ხელფასებისა და გადასახადების გაუცემლობის შემთხვევაში მათ და მათი ოჯახის წევრებს სიცოცხლის ხელყოფა ელოდათ. ამ მოწოდებას ბევრი მხარდამჭერი აღმოაჩნდა და, ყველაზე მეტყველი ფაქტი ისაა, რომ მისი გაჩენა არავის გაკვირვებია. თითქოს ხშირად ხდებოდა, რომ გენერალური შტაბის პასუხისმგებელი მუშაკები პრეზიდენტის შვილიშვილებს იტაცებდნენ და მძევლად აჰყავდათ.

25 ოქტომბერს გენშტაბის 30 უფროსი ოფიცერი შეიკრიბა მიტინგზე და საპროტესტო მოთხოვნები წამოაყენა. განსაკუთრებული გართულება აქციას არ მოჰყოლია, მაგრამ გაფრთხილება გაისმა. უკვე ნოემბრის დასაწყისში მთელი მანიფესტაცია გაიმართა მოსკოვში პუშკინის მოედანზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო პერსონალისა და სამხედრო ქარხნების ათასობით წარმომადგენელმა. პარალელურად მანიფესტაციები მოეწყო მრავალ ქალაქში, წყნარი ოკეანის ფლოტის ბაზებზე და შორეული აღმოსავლეთის სამხედრო საწარმოებში. ერთდროულად ქვეყნის 100-ზე მეტმა სამხედრო ქარხანამ 3 საათით შეწყვიტა მუშაობა. გაფიცულებმა განაცხადეს, რომ ოფიცრები და სამხედრო მოსამსახურეები მხოლოდ იმიტომ არ იღებენ მონაწილეობას მასობრივ აქციებში, რომ ეს წესდებით ეკრძალებათ, მაგრამ თუ მთავრობა არაფერს იღონებს უახლოეს ხანში ვალის დასაფარავად, არმიას წესდებაც ვეღარ შეაჩერებს.

ყველაფრიდან ჩანს, რომ ვითარება კონტროლიდან გამოდის. არმიის გენერალი როდიონოვიც კი შიშობს, რომ მოვლენები უარესი სცენარით განვითარდება. „საკმარისია მოსკოვის სამხედრო ოლქის ერთი რომელიმე პოლკის მეთაურმა მოთმინება დაკარგოს და ნაწილი მოსკოვისკენ დაძრას, რომ შემდეგ ამოქმედდება „დომინოს პრინციპი“ – ერთს მეორე მოჰყვება, მეორეს – მესამე და ამას ვეღარავინ შეაჩერებს“ – გაიულერა მინისტრის ერთ-ერთ უკანასკნელ ინტერვიუში.

არსებობს ოფიციალური გამოკითხვის შედეგები, რომელთა მიხედვითაც რუს ოფიცერთა 26 პროცენტი არ გამორიცხავს ფინანსური პრობლემების მოუგვარებლობის შემთხვევაში ძალისმიერ მოქმედებას. არ არის ძნელი წარმოსადგენი, რა მოჰყვება მოსკოვში თუნდაც ერთი პოლკის – 1500–2000 კბილებამდე შეიარაღებული ადამიანის შეყვანას.

თავად ეს ვითარება უკვე საგანგაშოა. როდესაც სახელმწიფომონსტრის თავდაცვის მინისტრი საკუთარ ჯარს არ ენდობა, როდესაც ამ თანამდებობიდან ადამიანის გადაყენებისას ყველა სამხედრო გადატრიალებას მოელის, მსოფლიო არ არის დაზღვეული ბირთვული კატასტროფისაგან. გავიხსენოთ ლებედის პირველი ნაბიჯი უშიშროების საბჭოს მდივნად დანიშვნის შემდეგ – მან პირადად დაიარა მოსკოვის ოლქის სამხედრო ნაწილები და [illegible] მორიგე გენერალს მისცა ბრძანება, რომელიც შემდეგ ყველა სამხედრო ოლქში დაიგზავნა, არ შეესრულებინათ თავდაცვის ახლადგადაყენებული მინისტრისა და მისი მოქმედი შტაბის უფროსის განკარგულებანი. ამ ნაბიჯით ლებედი თითქოს გრაჩოვის მხრიდან უკანონობის ალკვეთას ცდილობდა, მაგრამ თავად არანაკლები უკანონობა ჩაიდინა – თავის დროზე მოლდოვაში არმიის მეთაურობიდან გადაყენებულმა და სამხედრო სამსახურიდან საერთოდ დათხოვილმა უბრძანა მათ, ვისთვისაც ბრძანების არავითარი უფლება არ ჰქონდა, რათა ისინი არ დამორჩილებოდნენ თავის უშუალო უფროსებს.

ერთი კვირის წინ უკვე უშიშროების საბჭოს მდივნობიდან მოხსნილმა ლებედმა კიდევ ერთხელ აალაპარაკა ყველა გადატრიალების საფრთხეზე, მაგრამ ამჯერად მის თავკაცად თვითონ გამოვიდა – რიაზანში ჩასული შეხვდა იქ განლაგებული ცნობილი საპარაშუტო-სადესანტო პოლკისა და უმაღლესი სადესანტო სასწავლებლის მეთაურებსა და ოფიცრებს. ამის გამგონი ჩერნომირდინი და როდიონოვი ზუსტად ორი დღის შემდეგ სასწრაფოდ გაემგზავრნენ რიაზანს, სადაც მრისხანე პოლკისა და სასწავლებლის უფროსებს ხელისუფლებისადმი ლოიალობის სანაცვლოდ მისცეს არა მხოლოდ ხელფასების ვალის დაფარვის, არამედ რუსული დერჟავის აღორძინების პირობაც კი.

მოკლედ, მთავრობამ არ იცის, როდის მოატრიალებს მის წინააღმდეგ მისივე ჯარი იარაღს. ამ საქმეში კარგად ჩახედული ადამიანების აზრით, რუსულ არმიას დღეს ამის მეტი არც არაფერი შეუძლია. მან ჩეჩნეთში წელიწადნახევრიანი ომისა და 80.000 ადამიანის გაჟუჟვის შემდეგ დამარცხებულმა დატოვა რესპუბლიკა. დატოვა მაშინ, როდესაც 10000 ერთეული ჯავშანტექნიკით მაქსიმუმ 6–8 ათას „ბოევიკს“ ებრძოდა და ამ მაჩვენებლით ერთგვარი „რეკორდიც“ დაამყარა. ასეთი ჯარი, ცხადია, არ გამოდგება არანაირ აგრესორთან ომისათვის, მის შესაძლებლობათა მაქსიმუმი სწორედ 1993 წელს თეთრი სახლისთვის ტანკებიდან ცეცხლის გახსნის მსგავსი ოპერაციაა.

**თენგიზ გოგოტიშვილი**

გაგრძელება იქნება



ხელფასი კიდევ არ მოიტანეს...

# იუმორის გვერდი — წუთისოფელი

რუბრიკის სტუმარია კინომცოდნე, პროფესორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კინომცოდნეობის კათედრის გამგე ქალბატონი ოლღა თაბუკაშვილი

> არც რა მიშველა ცირილმა,
> არცა ცრემლემის ღენამა,
> მიშველა ისევ სიცილმა,
> ლაქარდიანმა ენამა





„Хуйщов и Маленьков в Лондоне"...

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 60-იანი წლების დასაწყისში, მე დავიწყე მუშაობა ასეთ გაზეთში „Молодой Сталинец", სადაც მე დავიწყე ჩემი ჟურნალისტური ცხოვრება. მაშინ ასეთი სწრაფი ტექნიკა არ იყო, ჩვენ დილამდე ვიჯექით, დილამდე ასწორებდნენ კორექტორები, ვაკაბადონებდით გვერდებს და ა.შ. მე ვიყავი პასუხისმგებელი მდივანი. მაშინ საბჭოთა ქვეყნის ხელმძღვანელი გახლდათ ნიკიტა ხრუშჩოვი. გამთენიისას, დაახლოებით დილის 5 საათზე, ამოვიდა მორიგე, მოიტანა ინფორმაცია (ინფორმაციები მაშინ ტელეტაიპით მოდიოდა) და მითხრა: ხრუშჩოვი და მალენკოვი ლონდონში გაემგზავრნენ და პირველ გვერდზე რაღაც უნდა შეიცვალოს, რომ ინფორმაცია ჩაჯდესო. ძალიან დაღლილები ვიყავით ჩვენც – რედაქციის მუშაკები და სტამბის მუშებიც. ამის გამო, ეტყობა, ამწყობს შეეშალა რუსული პეტიტით Хрущов-ის მაგივრად „Хуйщов" აწყო (მე ბოდიშს მოგიხდით ამ სიტყვის მოტანისათვის). ჩავასწორე რაღაცეები გვერდში. ეს შეცდომა არ შემინიშნავს, მოვაწერე ხელი და გავუშვი. მაშინ ჩვენი რედაქტორი იყო ბატონი ოთარ ქინქლაძე.

დილაა. არაფერი არ ვიცი. გავიღვიძე და, როგორც ყოველთვის, წავედი სამსახურში. მხვდებიან ნაცნობები და მეუბნებიან: რა ქენი გუშინ შენ, რა ქენიო... გავიხედ-გამოვიხედე, მთელი თბილისი ამ გაზეთის პირველ გვერდს იყო ჩაჩერებული. დედა, ვიფიქრე, ისეთი არაფერი დაბეჭდილა და რატომ უკავია ყველას ეს ნომერი-მეთქი. არადა, ერთი წუთით წარმოიდგინეთ, იმ წლებში ასეთი რამ რომ ქვეყნდება: "Хуйщов и Маленьков в Лондоне"... ამასობაში მივედი სამსახურში და, არის ერთი ამბავი, ახლაც კი ვგრძნობ იმ სიცივეს, ხერხემალში რომ გამიელვა. ასეთ რამეზე მაშინ ასპროცენტიანი ციხე იყო. ისე მომისჯიდნენ 25 წელიწადს, როგორც არაფერს. მაგრამ ოთარ ქინქლაძე ისეთი რაინდი პიროვნება იყო, როდესაც დაგვიძახეს ცეკაში ბიუროზე და არკვევდნენ, რატომ გავაკეთე ასე, მე ვუხსნიდი, რომ ეს არ მომხდარა განზრახ, თუმცა, ახლა ვფიქრობ, რომ ძალიან კარგი გამიკეთებია, მაგრამ მაშინ არ ვფიქრობდი ასე, ვერ დავიტრაბახებ ამას. ყოველივე ოთარ ქინქლაძემ აიღო თავის თავზე. ეს არის პასუხისმგებელი, მე ვკითხულობდი მაგის შემდეგ, მე ვარ რედაქტორი და მე უნდა შემესწორებინაო. ოთარი, რა თქმა უნდა, იოლად ვერ გადარჩა, მოსკოვიდან სპეციალური კომისია ჩამოვიდა (მაშინ მჟავანაძე იყო ჩვენთან). ეს კომისია ამ ფაქტის ძირებს ეძებდა, მაგრამ მაინც რბილად მოექცა ბიურო ქინქლაძეს, გამოუცხადეს სასტიკი საყვედური აღრიცხვის ბარათში შეტანით, რაც მაშინ იმას ნიშნავდა, რომ აღარ უნდა გაჩერებულიყო იმ თანამდებობაზე და, მოკლედ, დიდი გართულებები მოჰყვა ამ ამბავს. მაგრამ, სამაგიეროდ, გადაგვარჩინა სუყველა – მეც, კორექტორებიც და აი, დღემდე მახსენდება ბატონი ოთარი, რომელმაც ძალიან ვაჟკაცურად გადაიტანა ყველაფერი. იცით, ვერავის ვერ აუხსენით, რომ ეს მოხდა შემთხვევით და იყო დაუსრულებელი გამოძახებები ცეკაში.

ასე რომ, დღესაც რომ ნახოთ გაზეთის ის ნომერი, თქვენი თვალით წაიკითხავთ მაშინდელი ჩვენი ამ თავგადასავლის მიზეზს.

## ლენინი თუ ტროცკი...

დაახლოებით 70-იანი წლების ბოლო იყო. მოგეხსენებათ, ქართული კინო მაშინვე გამოირჩეოდა თავისებური აზროვნებით, სადაც იგავური ფორმით ვლინდებოდა დამოკიდებულება თანამედროვე მასალისადმი. რუსებმა დაწერეს რაღაც თავდასასხმელი სტატია, რომ ქართველები პოულობენ რაღაც ფორმებს სათქმელის შესანიღბავად და ა.შ. გადაწყდა, რომ ჩვენ უნდა დაგვეწერა საპასუხო სტატია. ერთხელ, ამ საკითხთან დაკავშირებულ შეკრებაზე ერთი ჩემი კოლეგა კითხულობს მოხსენებას, რაღაცაში დასჭირდა და გამოიყენა ლენინის ციტატა. მეორე კოლეგა ეუბნება, კი მაგრამ, რაში დაგჭირდა ლენინი, ლენინის გარეშე ვერ ისაუბრებდიო? ახლა ამის ჯერი დადგა, კითხულობს თავის მოხსენებას და მასაც ლენინის ციტატა მოყავს... მე შევხედე და ვუთხარი: კი მაგრამ, მისი ლენინი ლენინია და შენი ლენინი ტროცკია, კაცო?! ჩემს ამ ფრაზას ახლაც იხსენებენ ჩემი კოლეგები ანდაზასავით.

## „თბილისო"...

ისევ დავუბრუნდები გაზეთს. მაშინაც ახალი მისული ვიყავი პრესაში. იმ პერიოდში რეზო ლაღიძის „თბილისო" გამოვიდა და რატომღაც გადაწყვიტეს ნოტებისა და ტექსტის დაბეჭდვა. ვარ ისევ მორიგე (ესე იგი, შტერად გამოვდივარ. ხალხი იტყვის, ალბათ, ვინ არის ეს შტერი კათედრის გამგეო, ჰოდა, გრუზინსკის ტექსტში ასეთი სტრიქონია: „აქ არ იმღერო, ძნელია..." მე წავიკითხე, ნოტებიც შევამოწმე, და როდესაც მივადექი ამ სტრიქონს, „აქ არ იმღერო, ძნელია", ვიფიქრე, „აქ არ იმღერო" არის ზედმეტი, ამოვიღე სტრიქონი და წავშალე.

დღესაც ასეა დაფიქსირებული.

## საქორწინო მოგზაურობაში

ერთხელ ასეთი რაღაც შემემთხვა. 1956 წელია. ძალიან კარგად მახსოვს, მოსკოვში იყო ახალგაზრდობის საერთაშორისო ფესტივალი. მე გავთხოვდი და ისე მოხდა, რომ ჩვენი საქორწინო მოგზაურობაში წასვლის დღე დაემთხვა ამ ფესტივალის გახსნის დღეს. ჩემმა კოლეგებმა, ჟურნალისტებმა ტელეტაიპზე ააწყვეს (არ ვიცი, როგორ გააკეთეს ეს ტექნიკურად) ასეთი ტექსტი: ყველა მოსკოვში წამსვლელი ვალდებულია ჩამოვიდეს ტულაში, გაიაროს ხელახალი რეგისტრაცია იმის გამო, რომ მოსკოვში პირდაპირ შესვლა აკრძალულია. ახლა, ჩემი ქმარიც და მეც, არ ვიყავით ასეთი უვიცები, რომ მოვტყუებულიყავით, მაგრამ ისეთი კოლექტივი მყავდა, სერიოზული, პროფესიონალი ადამიანები, რას წარმოვიდგენდით. მოგვცეს ეს ქაღალდი. თანაგრძნობაც გამოგვიცხადეს, რას იზამთ, ხდება ხოლმეო. ეჭვიც კი არ გაგვიჩნდა. ჩავედით ტულამდე. ჩამოვედით, იქ მივედით სადღაც, რომ გვეკითხა, ვისთვის მიგვემართა ნებართვისთვის. ტულაში ყველა – მილიცია, სამხედრო პირი, გაგიჟებული იყო, რა ტულა, რის ტულა. მოკლედ, მოგვიხდა გადაჯდომა სხვა მატარებელზე.

## მორგუნოვთან შეხვედრა

ერთხელ კი, მაინცდამაინც სასაცილო არ არის, მაგრამ ასეთი შემთხვევა იყო. ვდგავარ მოსკოვის კინოს სახლის წინ და ველოდები ჩემს ამხანაგს, უნდა შევიდეთ ფილმზე. ჩემს უკან იყო აფიშა. მოდის მორგუნოვი და ძალიან ხმამაღლა კითხულობს: „Как вас теперь называть?". მე შევხედე, არ ვიცნობდი მაშინ მას, და ძალიან მორიდებულად და მოკრძალებულად ვუთხარი: „Ляля"... აუტყდა სიცილი. ვერაფერი ვერ გავიგე, მოვიხედე უკან და აღმოჩნდა, რომ თურმე ფილმს ერქვა: „Как вас теперь называть?...

## კვახი თუ ბახი...

მოსკოვი. 60-იანი წლების მეორე ნახევარია, დეკემბრის თვეა, ძალიან ცივა. მაშინ, როგორც კინომცოდნეობის ასპირანტურის სტუდენტს, კინოს სახლში შესვლის სპეციალური საშვი მქონდა. დამირეკა ცნობილმა ტატა თვალჭრელიძემ და მითხრა: ერთი ახალგაზრდა მხატვარია ჩამოსული, ვახტანგ რურუა, მე ვერ გავყვები და იქნებ მოახერხო, ტაქსით გამოგივლის და კინოს სახლში, ფილმზე შეიყვანოო. მე მაშინ არ ვიცნობდი ბატონ ვახტანგს. მოკლედ, გამომიარა ტაქსით, ჩავჯექი მანქანაში. ნუ, რაზე უნდა ვისაუბროთ? მან იცის, რომ ლალა თაბუკაშვილი ვარ. მე ვიცი, რომ ვახო რურუაა. ამ დროს, მეკითხება რაღაცას. უიმე, ძალიან მიყვარს-მეთქი. მე მომესმა, რომ კვახი თუ გიყვარსო, მკითხა. და აი, ახლა, რატომღაც, ძალიან მინდა-მეთქი. მე შემიძლია, რომ მოგართვათ, სულ ახალიაო. ამ შუა ზამთარში კვახს საიდან მომიტანთ-მეთქი? – გავოცე. კვახი კი არა, ბახზე გელაპარაკებით ქალბატონოო. თურმე ბახის ახალ ფირფიტებზე მელაპარაკებოდა. მაშინ ფირფიტებიც არ იშოვებოდა და თან ნახევრად მშიერი ვიყავით მოსკოვში, ისეთი პერიოდი იყო და სულ საჭმელი გველანდებოდა.

## 1971 წლის 13 თებერვალი

1971 წელია, აქედან გამგზავნეს ბელგრადში, იქ ტარდებოდა ფესტივალი „ფესტი", ე.ი. მთელ მსოფლიოში გამარჯვებული ფილმების ფესტივალი. მოსკოვში შემოგვიერთდნენ სერგეი ბონდარჩუკი, იური სოლომინი და ლუსია გურჩენკო. ის, რაზეც უნდა მოგითხროთ, უფრო ჩემთვის იყო შინაგანად კურიოზული. 13 თებერვალს არის ჩემი დაბადების დღე. ბონდარჩუკზე მინდა გითხრათ, რომ დღემდე საქართველოში ცოტა უარყოფითი დამოკიდებულებაა და ვფიქრობდი, რომ ძალიან გამიჭირდება მასთან ერთად ყოფნა, სადაც არ უნდა ვიყოთ-მეთქი, მაგრამ პირველივე წუთებიდან მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. რაც შეეხება ფესტივალს, ძალიან საზეიმო ელფერი ჰქონდა. გადიოდა ისეთი ფილმები, როგორიცაა „ნათლიმამა", ანტონიონის სურათი, „ქალის სურნელება" – პირველი ვარიანტი, იყო კუროსავას ფილმი და ა.შ. ლუსია გურჩენკომ, ეტყობა, თქვა, რომ დღეს ლალას დაბადების დღეაო. მე არაფერი ვიცოდი. საღამოს ნომერში გაისმა ტელეფონის ზარი და მეუბნება სერგეი ბონდარჩუკი, რომ დღეს გეპატიჟებით სოლომინს, ლუსის და შენ რესტორანშიო. ჩავედით იმ რესტორანში. ოტას ვახმობდით, ვსვამდით. ამ დროს ერთ სკამზე ჩემს გვერდით დაჯდა ვიღაც ახალგაზრდა ბიჭი, მეორე ახალგაზრდა, მესამე, ორი ასაკოვანი კაციც შემოგვემატა... ახლა, ვფიქრე, თუ ჩემთვის აკეთებდა ამ სუფრას, რას დაპატიჟა ეს უცხო ხალხი-მეთქი. იცით, მაინც ენის ბარიერი არსებობს... სიტუაციის განმუხტვას ცდილობდა გურჩენკო, მას ეს კარგად გამოსდის. მერე, თანდათანობით, სადღეგრძელოებში გაირკვა, რომ ჩვენს მაგიდასთან ისხდნენ: რობერტ დე ნირო, რომელიც მაშინ 28 წლის იყო, ფრანკო ნერო, ვიტორიო გასმანი, აკირა კუროსავა და მიქელანჯელო ანტონიონი. იმდენად დავიბენი, რომ ერთ მომენტში წასვლაც გადავწყვიტე. იცით, დღეს არის ყველაფერი ადვილი აღსაქმელი, მაშინ ეს იყო ძალიან ძნელად ასახსნელი. მოკლედ, ის დაბადების დღე ყოველ 13 თებერვალს მახსენდება. დღეს აღარც კი მჯერა, რომ ასეთ პიროვნებებთან ერთად გავატარე ის საღამო.

## გოდერძი ჩოხელზე...

ამ შემთხვევას იუმორთან საერთო არა აქვს, მაგრამ არ შემიძლია, არ გავიხსენო გოდერძი ჩოხელზე...

მე ავიყვანე კინომცოდნეების პირველი სახელოსნო 1972 წელს. საკმაოდ ელიტარული ჯგუფი იყო, ისეთი ოჯახების შვილები... ამ დროს მოვიდა პატარა, გამხდარი ბიჭი, შემოიტანა განცხადება და მასალები. წერის გამოცდაზე მოხდა ერთი უსიამოვნო ფაქტი: მოვიდა რუსული ფილმი. მე ვიცი, რომ გოდერძიმ რუსული არ იცის. ეს მაშინ, ახლა კი გოდერძი გოდერძია. ძალიან შევწუხდი, როდესაც გოდერძიმ ამოიღო ეს კონვერტი. დავდივარ დარბაზში, შევხედე ჩოხელს, რაღაც ლექსს წერს. ვიფიქრე, რად უნდა ლექსი, რეცენზია აქვს დასაწერი-მეთქი. აღმოჩნდა, რომ ლექსად დაწერა რეცენზია ისე, რომ მერე ამ ლექსის გამო მივიღეთ კინომცოდნეობაზე. კარგად სწავლობდა. გავიდა 1, 2 წელი. მოდის ერთ მშვენიერ დღეს და მეუბნება: ქალბატონო ლალა, როდის უნდა დავიწყოთ ფილმების გადაღებაო. მე ვუთხარი, გოდერძი, გენაცვალე, ვერ დავიწყებთ ფილმების გადაღებას, ჩვენ ხომ კინომცოდნეობის ფაკულტეტზე ვართ-მეთქი. მაშინ არ იყო თეატრალურში „რეჟისურა". ოუჰ, გოდერძიმ თავისი მთიულური ხასიათი გამოავლინა, რას ნიშნავს „კინომცოდნეობაზე", მე მეგონა, კინოსარეჟისოროზე ჩავაბარე და უნდა წავიდე ინსტიტუტიდანო. ისე შევწუხდი, დავუწყე თხოვნა, მუდარა, შენი ჭირიმე, ოღონდ ნუ დატოვებ ფაკულტეტს და გაძლევ გარანტიას (მაშინ ფაკ-ის დეკანი ვიყავი), ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ გაიხსნას რეჟისურის ფაკულტეტი, და, შენ გადაგიყვან იმ ფაკულტეტზე, ოღონდ ნუ წახვალ-მეთქი. ისეთი საცოდავი სახე მქონდა და ისე ვემუდარებოდი, რომ მითხრა, თქვენი ხათრით დავრჩებიო. მართლაც, მოხდა ისე, რომ 1974 წელს გაიხსნა კინოსარეჟისორო, მივიყვანე გოდერძი ქ-ნ ლანა ღოღობერიძის ჯგუფში. აი, სწორედ მაშინ გააკეთა თავისი ცნობილი „აღგილის დედა", რომელიც შემდეგ ობერჰაუზენში გრან-პრით დაჯილდოვდა. ე.ი. რომ არ ვყოფილიყავი ასე დაჟინებით დაინტერესებული გოდერძის პიროვნებით (მაშინ უკვე იგრძნობოდა, როგორი თვითმყოფადი პიროვნება იყო), ჩვენ შეიძლება გოდერძი ჩოხელი, როგორც რეჟისორი, დღეს არ გვყოლოდა.

მოამზადა
ლელა კოდალაშვილმა

## კაიფვორდი



თარაზულად: 1. ლეონიდ ილიჩის „შედევრი“; 4. მეკარის მესამე ხელი; 10. მუსიკალური ნიჭის მქონე დამმარილებელი; 11. ყველა ტელეგადაცემაში რომ ეჩხირება; 12. შორსმჭვრეტელობას მოკლებული ზოგიერთი პოლიტიკოსის ეპითეტი; 16. სამარეში გასასწორებელი ფიზიკური ნაკლი; 17. ყოფილი მთვრალი გენერალი; 18. ქართული ტოტებიანი სასმელი; 19. ოთხი მუსიკალური სეხნია; 20. რა მოხდა გურიაში? 21. არამშვიდობისმოყვარე ფიზიკოსი; 23. ყურიანი წვნიანი; 26. რძის პროდუქტის მოყვარული კომპოზიტორი; 28. პლაჟი ქართლში; 29. „სიონისტური“ გაზეთი საქართველოში; 34. თავსვაშლდაცემული ფიზიკოსი; 35. ორი უცნობი კარტი პრეფერანსში; 36. ფეხებზე დასაკიდებელი ცხოვრება; 37. იაპონური სოფელი გურიაში.

შვეულად: 1. საქონლის ქირურგი; 2. ვინც ადრე ჩვენ გვიცავდა; 3. არასლავური წარმოშობის ფრანგი მწერალი; 5. ღვინით გაბერილი ცხვარი; 6. ამ ქვეყანაზე მეორედ მომსვლელი; 7. ახალგაზრდა ქათამი აფხაზურად; 8. რას ახარებდა მოშიაშვილი თავის ზაიათებით; 9. საქართველოს ერთ-ერთი დამპყრობის ფიზიკური ნაკლი; 13. ამოხაპოყინებელი საშუალება; 14. მიმზიდველი ფოლადი; 15. ერთი ლიმონი ანუ... 22. როკ-პლანეტა; 24. ზედმეტი ხელფასი; 25. ანტიზვიადისტის იარლიყი; 27. ალადინის თვითმფრინავი; 30. მშვიდი რუსული მდინარე; 31. მამა-შვილი ოფიციალური „აფერისტები“; 32. უფული სტუდენტების სასწავლებელი ახლო წარსულში; 33. უცხოეთიდან მოსული სასიხარულო ქაღალდი.

მამუკა იაშვილი

დავით ტიგინაშვილი

# ქართველი გლეხკაცის ა[illegible]

მოგესალმები, საქართველოვ
მუდამ მზიანო;
ხალხო, ამაყო, ჯიშიანო
და მადლიანო.
გული მისკდება თქვენს
თვალებში
ცრემლი კიაფობს
თეთრი მერანი დიდ სივრცეებს
მაინც მიაპობს.
არეულია მონასტერი,
კუპრში ვტრიალებთ,
დარიალივით სიმართლისთვის
მიტომ ვღრიალებ!
შეინავარდე, მთის არწივო,
შე მძლავრფრთიანო,
ამოისუნთქე, საქართველოვ
შე რჯულმტრიანო!
ქართული ლექსი
არაგვივით ანგრევს კალაპოტს,
მოდით ცოტა ხანს
ჩვენს ყოფაზე ვილაპარაკოთ!
ხელისუფლებავ, რომ გიკრავდით
დაფს და ნაღარას,
რად გაგვიჩინეთ
შავგვრემანებს თმაში ჭაღარა...
მრავალჟამიერ
ერს მარადჟამს ემახსოვრება,
სად არის თქვენი დანაპირი
კარგი ცხოვრება.
რა ქნას საწყალმა ბერიკაცმა,
პაპა შაქრომ,
თქვენ გვერდით რომ ზის
ამ დარბაზში, აი აქ რო?!
გაუწვრთნელია გლეხიკაცი
თქვენებრ ხრიკებში,
კაპიკიანი არ უჩხავის
შარვლის ჯიბეში.
მიჩვეულია ალალ-ლუკმას,
შრომას, დათრობას,
ვერ ურიგდება ამ ცხოვრების
უსამართლობას.
მადლი ქენით და
დაამშვიდეთ, მიესალბუნეთ,
ისიც კაცია
ორი გროში გლეხსაც არგუნეთ.
ჩამაჭრებული
ლაგილოცავთ. იმერ-ამიერს,
მერე წავა და დაამღერებს
მრავალჟამიერს...

ეთიმგურჯული

მაშინ სოფლადაც დაგვიზრდიან
შთამომავლობას,
ტაშსაც დაგიკრავთ გლეხი კაცი
ასეთ მთავრობას,
საკითხავია, ხალხის ნდობას
ვინც ვერ ამართლებთ,
რა უფლება გაქვთ, ჩაეჭიდოთ
მაგ თბილ სავარძლებს?!
რობოტებივით რომ იღიმით
თეთრი კბილებით,
ერთხელ ხომ მაინც უნდა იყვნეთ
გულახდილები.
დამეფიცება ქვეყანაზე
რაც კი ხატია,
შიმშილს, მონობას ვერ აიტანს
დემოკრატია...
ვიცი, ეს ლექსი ჩაგაფიქრებთ
სულ სხვა სტილია,
უსამართლობამ დაანგრია
თვით ბასტილია.
ჰაი, ოდესღაც, ჩემო ერო,
წელგამართულო,
შე მოყვრისგანვე გაყიდულო,
ხმალო, ქართულო!
ჩამოჰკრავს ზარი,
გადმოგითვლით უფალი სულზე,
ვფიცავ მამული მახატია
შვილივით გულზე.
სიაფანდებო, მე გასწავლით
ქართულ ანდაზებს,
ქვეყნის ხსნისათვის, სულ
მივივლი
უფლის დარბაზებს,
იცით, რას გეტყვით,
სხვის კისერზე კოშკს ნუ აიგებთ,
მოვა განსჯის დრო, და რას
ვამბობ
მერე გაიგებთ!
გთხოვთ, ამ ქვეყანას
ნუ გაუწევთ სამსახურს დათვურს,
მოდით შეეშვით
ხაზინაში ხელების ფათურს.
მუდამ გახსოვდეთ
ნაქურდალი მწარე ხილია,
ეს ხომ ჩვენივე მეგობრების,
ხალხის წილია.

მალე ჭოუხში ვაჟას შურთხი
ზარებს დარეკავს,
მოდი უფალო სანამ ქრთამი
მილეთს წალეკავს.
დროა, მივხედოთ
ქურდს, ნარკომანს,
პროსტიტუციას,
ვიდრე ღვთის რისხვად
დაგვატყდება
კონსტიტუცია...
მოინანიეთ, რომ ცხოვრება
მშვიდად გავლიოთ,
მერე ჩავსხდეთ და თითო ჭიქა
ღვინო დავლიოთ.
გაშტერებული რომ მიყურებთ,
ვეღარ მიცანით?
ცხოვრების ბოლოს რა
დაგრჩებათ,
ოთხი ფიცარი?!
მოდით მოეშვით არწივისებრ
მზერას, ყივილებს.
ყველას მაგივრად მე განვიცდი
გულის ტკივილებს,
საწყალ გლეხებზე, ღვთის
წინაშე
კი არ ახირდეთ,
კაცურადა გთხოვთ, ამ საკითხზე
ცოტა ჩაფიქრდეთ!
მამაპაპური ცხოვრებისკენ
გადავიხრები,
ხალხი ბრძენია
და ყოველთვის მასთან ვიქნები.
დიდმა მგოსნებმა
ცხენს ალვირი უკვე წამიძრეს,
ბევრი უნახავს საქართველოს
და თქვენც გაგიძლებთ!
მიჩვეულია საქართველო
გმირთამრავლობას,
თუ არ მომისმენთ დიდი ეშხით
დავშლი მთავრობას.
შთამომავლობა დაგვაფასებს
რეალობისთვის,
ხმალი ავლესოთ
საქართველოს მთლიანობისთვის,
მოდი, უფალო
დაგვიხსენი იმერ-ამიერ,
წელო ახალო
შემობრძანდი მრავალჟამიერ.

## კროსვორდი „მატიანე“



თარაზულად: 7. უმაღლესი კასტის წარმომადგენელი ინდოეთში; 8. „ბითლზების“ მონაწილე და მისი მრავალი კომპოზიციის ავტორი; 10. მოგრძოდ წამოზიდული გორა; 11. ფასიანი ქაღალდების გამოშვება; 12. მორ იოკაის რომანის „ოქროკაცის“ პერსონაჟი; 13. მოლდოვეთის პოლიტიკური მოღვაწე; 15. ტერმინი გრამატიკიდან; 17. როგორ? რანაირად? (ძველქართული შესატყვისი); 18. სასახლე მეფისა, დიდებულისა, მთავრისა... 21. ზვიად გამსახურდიას მიერ არალეგალურად გამოცემული ჟურნალი; 23. ალპინისტის ფეხსაცმელი; 24. ქუდი; 26. გუნდის ხელმძღვანელი ძველ ბერძნულ ტრაგედიაში; 28. პარკოსანი მცენარე; 29. ქალაქი ინგლისში; 30. მჭედელი, რომელიც ცხენს ან მუშა საქონელს ნალებს აკრავს.

შვეულად: 1. ავსტრიელი დირიჟორი; 2. წვრილი, უკურკო ქიშმიში; 3. აშშ ექსპრეზიდენტი; 4. გადაჭარბებული პატივმოყვარეობა; 5. მხლად გამოსადეგი მცენარე; 6. ფეხსაცმელი; 7. ნამცხვარი; 9. იაპონური ფულის ერთეული; 14. ანგოლის სრული დამოუკიდებლობისათვის შექმნილი ეროვნული კავშირი; 16. ნავსადგური ანუ... 19. ქართველი მეცნიერ-ბიოლოგის ალ.გაჩეჩილაძის მიერ შემუშავებული პრეპარატი კიბოს საწინააღმდეგოდ; 20. საეკლესიო გალობის ფორმა, შესრულებული ორი გუნდის ან გუნდისა და სოლისტის მონაცვლეობით; 22. სამშობლოდან გადახვეწა ან გაძევება უცხოეთში; 23. იტალიელი ბალერინა; 24. მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი ვარსკვლავი; 25. მბრუნავი ფირფიტა ზოგ ხელსაწყოში; 26. თამაშობა ხის ბურთით და ხისავე ბოთლისებური ფიგურებით; 27. სიტურფე, მომხიბლაობა.

გ.ბასიტაშვილი

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 7. სომბრერო; 8. ბანოვანი; 11. ხუნანი; 12. ქარტია; 13. აფციაური; 14. „ასტრა“; 16. ლეკვი; 17. ნოტა; 18. ეივე; 20. „მამა“; 22. კოლი; 24. თხინა; 25. აგუნა; 27. სტუდენტი; 29. ლაშარი; 30. ვერხვი; 31. გვასალია; 32. ბრეოლინი.

შვეულად: 1. ფოჩხუა; 2. ებონიტი; 3. ორგია; 4. „ჩაუქი“; 5. კვიტოკი; 6. ანგარი; 9. ციცქნა; 10. მრუდე; 15. ანჯამა; 16. ლექცია; 19. კინშასა; 21. ალუჩა; 22. კონკა; 23. ქურხული; 24. თელავი; 26. ალიონი; 27. სირია; 28. ივერი.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444